ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 6 აპრილი 2004 №76 (2095) ფასი 50 თეთრი






# ლიდერი შეიძლება გაიფიცოს

## სიონი ლოკომოტივთან სათამაშოდ არ გადიოდა

*თურმე რაში ყოფილა საქმე — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ ბოლნისის „სიონში“ შარშანდელს აქეთ ხელფას-პრემიები არავის უნახავს, მაგრამ გუნდი პირველ ადგილზეა და ცხრილის მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე თბილისის „დინამოსაც“ მოუგო, თუმც სიონელები უფულობას აღარ მოითმენენ.*

*დღეს კი თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩებია. „დინამო“ და „ტორპედო“ ნახევარფინალში ალბათ უპრობლემოდ გაივაკებენ, ხოლო „თბილისს“ და „ვიტ ჯორჯიას“ არცთუ პატარა ჯებირები აქვთ გადასალახი.*

*რაც შეეხება ალენ ჟირესს, საქართველოს ეროვნული ნაკრების სპასალარი თბილისში, სავარაუდოდ, 19 აპრილს ჩამოვა.*

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# დღეს! რანიერის და მონაკოს რანიერიზე და მონაკოზე მეტი სჭირდებათ



REUTERS ლონდონიდან

*ზედიზედ ხუთი მატჩია, ლონდონურ „ჩელსის“ ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად არ ნაუგია. ნაგებას ვინ ჩივის, მეტოქეებს ერთი გოლის გატანაც კი არ დაანება. მაგრამ... 1998 წლიდან მოყოლებული „არისტოკრატებს“ ერთხელაც ვერ მოუგიათ თანაქალაქელი „არსენალისთვის“.*

*სწორედ ეს გარემოება აფიქრებს და თან აგულიანებს „ჩელსის“ იტალიელ თავკაც კლაუდიო რანიერის, რომლისთვისაც „არსენალის“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალიდან დაფრენა, ვინძლო, გუნდის მესაჭედ დარჩენის ბოლო შანსიც იყოს. მოკლედ, დღეს იქნებ „ჰაიბერიზე“ რანიერის ბედი წყდება.*

*„რეალის“ გამოზრდილ ან „მონაკოს“ ფორვარდ ფერნანდო მორიენტესზე უკეთ გამზრდელისა ,აბა, ვინ უწყის. აკი თქვა გუშინ „ელ მორომ“, „მონაკოს“ ნახევარფინალისთვის რაღაც უფრო მეტი სჭირდება, ვიდრე „მონაკოაო“. ვინ იცის...*


ლონდონურ „ჰაიბერის“ „არსენალი“ — „ჩელსი“ ბევრი უნახავს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგისა ჯერ არ



# ამ თაობის დაკარგვა დიდი უთავობა იქნება

ქართველმა ჭაბუკებმა ხორვატიული შესარჩევი ტურნირი იტალიასთან წაგებით კი დაიწყეს და ფრანგებთან გუშინდელი 17-ქულიანი მარცხითაც დაასრულეს, მაგრამ იყო მოგება ხორვატიასთან, ფინეთთან და ლატვიასთან. ჩვენი კალათბურთის იმედის თაობა აგვისტოში სარაგოსას ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.

# ჩვენ გვჭირდება 40!

*ქართველების „ფრაიბურგთან" ნათამაშები ფრე ბუნდესლიგის ლიდერ „ვერდერს" სეზონის ბოლოს შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს. „ფრაიბურგი" კი 34 ქულით მეათე ადგილზეა*

— ბრემენში თამაში შემეძლო, მაგრამ ექიმების რჩევით შესაძლო გართულებებს მოვერიდე — გვითხრა ალექსანდრე იაშვილმა, ვინც მანჰაიმურ სანაკრებო მატჩში დაშავდა — აღარ გავრისკე, მერე რომ ორკვირიანი მკურნალობა არ დამჭირვებოდა. ახლა უკვე ჯანზე ვარ, ბრემენიდან დაბრუნებულ გუნდს ხვალ შევუერთდები და ძველებურად ვივარჯიშებ, მომავალ ტურში, „შტუტგარტთან" აუცილებლად ვითამაშებ.

— „ვერდერ"—„ფრაიბურგს" ტელევიზორში უყურე?

— ისეთი თამაში იყო, არ გამიკვირდებოდა, რომ მოგვეგო. მასპინძლებს სულ ორი მომენტი ჰქონდათ და ერთი გოლი გაგვიტანეს. არადა, წლეულს ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი. „ფრაიბურგმა" კი პირველსავე წუთზე ხომ გაიტანა და წუთშივე კრუპკემ ნაღდი მომენტიც გააცუდა, ის დარტყმული რომ გაეტანა, „ვერდერის" საქმე დამთავრებული იქნებოდა. მასპინძლებს შესვენების შემდეგ ჩვენი კარისკენ არც დაურტყამთ. 1:1-ზე „ფრაიბურგს" კიდევ ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ცქიტიშვილის დახატული პასი ბერნერმა ვერ გამოიყენა. მოკლედ, ბრემენში ფრემ როგორ არ დაგვაკმაყოფილა, მაგრამ თამაშის შემხედვარეს გულიც დაგწყდებოდა — მოგება შეგვეძლო.

— „ფრაიბურგმა" ხომ გაიკეთა საქმე და „ბაიერნიც" მადლობელი დაგრჩებოდათ ამ შედეგის შემდეგ...

— ჩვენთვის ახლა მთავარია, 40 ქულა მოვაგროვოთ. სტატისტიკური გამოთვლებით 40 ქულა ბუნდესლიგაში დასარჩენად საკმარისია. აქამდე ექვსი ქულა დაგვრჩა და ეს უახლოეს ორ-სამ ტურში



თუ შევძელით, მერე, შესაძლოა, უეფას საგზურისთვისაც გავიბრძოლოთ. „ბაიერნი" კი მართლა ჩვენი მადლობელი უნდა იყოს, „ვერდერთან" სხვაობა შვიდ ქულამდე რომ შევამცირებინეთ.

**კობა ინასარიძე**

# რით სჯობია მშიერი სიონი მაძღარ დინამოს?

## მიეცით მუშკეტერს მუშკეტერისა

*ჩემპიონატის ბოლო ტურს ერთი მოულოდნელობაც მოჰყვა — ბოლნისური „სიონი" „დინამოს" წამოასკუპდა და გალიდერდა. „ლოკომოტივთან" ვაკური მატჩის ბოლოსკენ თემურ მახრაძემ იღბლიანი შეცვლა გააკეთა — გამარჯვების გოლი მოედანზე სამი წუთის წინ შესულმა გიორგი შენგელიამ გაიტანა და მეორე ეტაპზე დაუმარცხებელი „სიონი" სატურნირო ცხრილის სათავეშია, მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ბოლნისელთა გალიდერება მეტად საეჭვო გახლდათ, მეტიც, შესაძლო იყო, „სიონს" საერთოდ არ ეთამაშა „ლოკომოტივთან", ტექნიკური წაგება ჩათვლოდა და უმაღლესიდან გარიცხვაც დამუქრებოდა. ამის შესახებ „სიონის" გამოცდილმა კაპიტანმა იური გაბისკირიამ გვითხრა, გუშინ რომ შევეხმიანეთ*



„მშრომელ გლეხთა" კაპიტანი: იური გაბისკირიას (მარცხნივ) „ლოკომოტივთან" მუხლი არ ჩაუხრია

— დასამალი უკვე არაფერია, „ლოკომოტივთან" თამაშს არ ვაპირებდით. გუნდმა ერთსულოვნად მიიღო ეს გადაწყვეტილება და, ბუნებრივია, თემურ მახარაძეც საქმის კურსში იყო. მწვრთნელ-ფეხბურთელებმა დიდხანს ვითათბირეთ და ბოლოს ერთხელაც დავთმეთ, სათამაშოდ გავედით, ვიომეთ, ჩვენი დავამტკიცეთ და ახლა ჯერი გუნდის ხელმძღვანელებზეა, მათ უნდა გვაგრძნობინონ, რომ დიდი მიზნისთვის მებრძოლი ფეხბურთელები ვართ.

**— ითქვა, ბოლნისში ახალი გამგებლის დანიშვნის შემდეგ „სიონს" ფინანსური პრობლემები მოუგვარდაო...**

— არ ვიცი, მოგვარებაში ვინ რას გულისხმობს... ფაქტია, ფეხბურთელების შარშანდელი ვალიც გადასახდელია, წლევანდელზე არაფერს ვამბობ. ასე გაგრძელება კი აღარ შეიძლება...

**— და თქვენ მაინც გახვედით სათამაშოდ...**

— ჩვენ, „სიონის" ფეხბურთელები გლეხები ვართ, მშრომელი, მუხლჩაუხრელი ხალხი. ჩვენი საკეთებელი მოედანზეა და კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ჩვენი საქმე კარგად ვიცით... დღეს კიდევ უფრო კარგად ჩანს, რამდენად დაგვაკლდა ზურაბ ჯაფარიძის ხელი. პოლიტიკური ვითარების გამო „სიონს" ფეხბურთზე შეყვარებული და გუნდზე გადაყოლილი კაცი ჩამოშორდა. ორი წელია, ბოლნისურ კლუბში ვარ და არც მე და არცერთ ჩემს თანაგუნდელს აქამდე მატერიალური პრობლემები არ გვქონია, რადგან ჯაფარიძე ჩინებულად უძღვებოდა საქმეს... ჩვენ ყველას გვენატრება ის დამოკიდებულება.

**— ახალი გამგებელი რას გპირდებათ?**

— „ლოკომოტივთან" მატჩის შემდეგ გასახდელში შემოვიდა, მადლობა გადაგვიხადა ფეხბურთელებს და შეგვპირდა, ყველა პრობლემას მოგიგვარებთ „დილასთან" მატჩამდეო.

**— თუ ასე არ მოხდა, გორში სათამაშოდ არ წახვალთ?**

— დავიღალეთ გაუთავებელი დაპირებებით, მაგრამ იმედი გვაქვს, ამჯერად სიტყვა შესრულდება. გარწმუნებთ, ყველაზე მეტად ჩვენ, ფეხბურთელებს გვსურს ამ გუნდის შენარჩუნება, ჩვენი საქმის კეთება და ქომაგის გახარება.

**— „ლოკომოტივთან" რის ხარჯზე გაიმარჯვეთ?**

— ერთსულოვნების. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ მუშკეტერული პრინციპით — ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის. ამ განწყობით მიაღწია „სიონმა" შარშან წარმატებას — უეფას თასზე თამაშს და იგივე შეგნებით ამ სეზონშიც მივაღწევთ მიზანს, თუკი, რა თქმა უნდა, ხელს შეგვიწყობენ.

**— რისი მიღწევა შეგიძლიათ?**

— ჩემპიონობაზე თავს არ ვდებთ, მაგრამ უეფას თასის საგზურს ნაღდად მოვიპოვებთ... ისე, ვფიქრობ, ძველი პირობები რომ გვქონდეს, ეგებ ოქროსთვისაც დაგვედგა კბილი.

**პაატა ქვანტალიანი**

# ჟირესი ქართველებს ფრანგულშიც გამოსცდის

**ამხანაგური** მატჩებისთვის ფიფასგან ნებადართულ თარიღებს, 27-28 აპრილს საქართველოს ნაკრებიც გამოიყენებს და თვის ბოლოს ალბათ ერთ-ერთ ფრანგულ გუნდს გაეჯიბრება. ჩვენებმა თამაში „სოშოს", „ლიონს" და „ლანსს" შესთავაზეს. მათგან პასუხს ამ დღეებში ელიან.

ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი ახლა ტულუზშია და უახლოეს სამუშაო გეგმას აწყობს. მისი თქმით, აპრილის თამაშისთვის ეროვნულ გუნდში აღარ იქნებიან ის ფეხბურთელები, რომლებმაც მანჰაიმში გერმანელ ახალგაზრდებთან ითამაშეს. მწვრთნელს სხვა ფეხბურთელების გამოცდა სურს და



საამისოდ ფრანგულ გუნდთან თამაშიც გამოადგება.

ჟირესი თანაშემწე გია გურულთან ერთად თბილისში ალბათ 19 აპრილს ჩამოვა და ჩემპიონატის რამდენიმე მატჩსაც დაესწრება. მწვრთნელის სურვილია, ნაკრებში რაც შეიძლება მეტი საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელი ნახოს — ძლიერ მეტოქესთან მათი შესაძლებლობები უკეთ გამოჩნდებაო.

**კობა ინასარიძე**

# ტრავმატური რეციდივები

**ეროვნული** ჩემპიონატის მძაფრმა მესამე ტურმა ტრავმიანობაც მოიტანა.

„თბილისის" ფეხბურთელებს, ზაალ ელიავასა და კოკა მიქუჩაძეს კოჭი გადაუბრუნდათ. კოკას ტრავმა უფრო სერიოზულია, იგი გუნდს უახლოეს ორ მატჩში დააკლდება, ელიავასი კი უფრო მსუბუქი აღმოჩნდა, თუმც „დილასთან" დღევანდელ სათასო მატჩს ალბათ ისიც დააკლდება.

დინამოელ გიორგი ნემსაძეს „თბილისთან" მატჩში კუნთში ფეხი მოხვდა და მცირე სისხლჩაქცევა აქვს. ივო შუშაკმაც არ გარისკა და ნემსაძე ბათუმში სათასო მატჩისთვის არ იახლა, თუმც იგი ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურისთვის მწყობრში იქნება.

ყველაზე მეტად ლოკომოტიველებს არ გაუმართლათ. ნახევარმცველ რამაზ სვანაძისთვის სეზონი დასრულდა. „ექიმებმა გულგამგმირავი დიაგნოზი დამისვეს — მენისკი და ჯვარედინი იოგების გაწყვეტა. თვის ბოლოს მენისკის ოპერაციას გავიკეთებ და ამის შემდეგ დაიწყება ხანგრძლივი სარეაბილიტაციო პერიოდი" — გვითხრა სვანაძემ. რკინიგზელთა შემტევმა ზაზა ზირაქიშვილმა კი „სიონთან" კუნთი გაიწყვიტა. უქმად ყოფნა მასაც საკმაო ხანს მოუწევს.

**დავით ერაძე**



რამაზ სვანაძე „სიონთან" ასე მწარედ დაშავდა

# დავით ყიფიანის თასი

## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები

ქუთაისი. 6 აპრილი. 16 საათი. ტორპედო

**ტორპედო — ქობულეთი (5:0)**

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი; ა. ნონიკაშვილი, მ. ურუშაძე (სამივე თბილისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო
დისკვალიფიცირებული: ჩხეტიანი (ტორპედო)

ბათუმი. 6 აპრილი. 16 საათი. ცენტრალური

**ბათუმი — დინამო (0:2)**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. სორდია
დისკვალიფიცირებული: ქვაჩახია (ბათუმი)

თბილისი. 6 აპრილი. 16 საათი. შევარდენი

**ვიტ ჯორჯია — სპარტაკი (0:1)**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მალაღურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი
დისკვალიფიცირებული: ჯანგიძე (სპარტაკი)

თბილისი. 6 აპრილი. 16 საათი. ისანი

**თბილისი — დილა (0:0)**

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ნ. კაკულია
დისკვალიფიცირებული: კვარაცხელია (თბილისი)

*ნახევარფინალური მატჩების კენჭისყრა 8 აპრილს გაიმართება*

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი ლიგა 3 ტური
მეორე ეტაპი

დინამო 2:2 თბილისი
ლოკომოტივი 0:1 სიონი
ვიტ ჯორჯია 3:0 დილა
მცხეთა 1:1 ტორპედო
ბათუმი 2:1 მერცხალი
კოლხეთი 0:0 სპარტაკი

# ტურბო ტური



მესამე ტური, „დინამოს“ მიჯრით მესამე ვერმოგებული თამაში, „სიონის“ ლიდერობა და კიდევ რამდენი რამ — ტევადი ტური გამოდგა, ივო შუშაკი მსაჯებსაც კი გადასწვდა, მაგრამ არა ისე, როგორც პოლიცია ბოლნისელ ქომაგთაგანს...

## უგუნურთა მორჯულება

მოედანზე რომ „ლოკომოტივ“ — „სიონის“ ფიცხელი ბრძოლა გაჩაღებულიყო, ტრიბუნაზე პოლიცია მავან ბოლნისელ ქომაგს არჯულებდა. უგუნური ლირსი კი იყო — სრულიად უმიზეზოდ მესერს იქით მყოფ მეოთხე მსაჯ ალექსანდრე შილაკაძეს ლანძღავდა. პოლიციელებმაც ბოლნისელი ტრიბუნიდან გაათრიეს და...



## ბიჭობა და მეტოქეობა

*გიორგი დევდარიანი და გიორგი ნემსაძე კბილა ბიჭები იყვნენ, როცა 35-ე საფეხბურთო სკოლაში ერთად დასდევდნენ ბურთს. ახლა დევდარიანი სეზონის აღმოჩენა-გუნდის მთავარი მწვრთნელია, ხოლო ევროპამოვლილი ნემსაძე „დინამოს“ ფეხბურთელი. ეს ხელგადახვევა და გულიანობა კი სიყრმიდან მოდის, თორემ მინდორზე „დინამომ“ და „თბილისმა“ ჭახანი გაადინეს.*





## შუშაკი მსაჯებზე ეჭვიანობს

ტურის ცენტრალური მატჩი „დინამო“ — „თბილისი“ სანახავად მართლა მშვენიერი და მართლა დაძაბული გამოდგა, ისეთი დაძაბული, რომ ფრეზე ორივე მხარეს გული დასწყდა. დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა კი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სულაც მსაჯთა ბოსტანშიც ისროლა ქვა: ბოლო ხანს მსაჯები რატომღაც ჩვენს საწინააღმდეგოდ ცდებიან და ეს სახიფათო ტენდენცია, ვშიშობ, შორს მიმავალი ზრახვები არ იყოს“. შუშაკმა მაგალითად მოიტანა თბილისელი გივი კვარაცხელიას არგაგდება საჯარიმოში ხელით თამაშისას და ლადო ახალაიას წაქცევისთვის არდანიშნული პენალტი.

### სიმბოლური ნაკრები

რევაზ გოცირიძე — *ვიტ ჯორჯია*
ლადო ახალაია — *დინამო*
გიორგი შენგელია — *სიონი*
გოჩა ხოჯავა — *თბილისი*
გიორგი ადამია — *ვიტ ჯორჯია*
თორნიკე აფციაური — *თბილისი*
ალეკო გოგობერიშვილი — *დინამო*
ზაალ ელიავა — *თბილისი*
დავით ჭიჭველიშვილი — *სიონი*
რევაზ ძმოკლიძე — *თბილისი*
აკაკი დევაძე — *სპარტაკი*

გუნდი: თბილისი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე *სიონი*

| I-VI ადგილები | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 სიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 27 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 |
| 2 დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 27 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 3 ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:1 | 2 | 25 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 3 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 4 თბილისი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 23 | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 0:1 | -1 | 19 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 0 | 2 |
| 6 დილა | 3 | 0 | 2 | 1 | 0:3 | -3 | 19 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | -3 | 1 |

| VII-XII ადგილები | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 7 ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 24 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 ბათუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 19 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 9 მცხეთა | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 15 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 კოლხეთი | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 15 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 11 სპარტაკი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 9 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 12 მერცხალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | -2 | 6 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |

## ბომბარდირული ამბავი

რევაზ გოცირიძემ შარშან მერე დაკარგული თავი და ბურთი „დილასთან“ მატჩში იპოვა — გიორგი ადამიას საჩუქარივით პასები შეირგო და გორელებს ორჯერ გაუტანა — გოცირიძისთვის ეს გოლები პირველი იყო ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ. ამ ორი ბურთით გოცირიძე გვერდით მიუსკუპდა ჩემპიონატის ბომბარდირ ბორის გონჩაროვს, რომლისთვისაც მესამე ტური „მშრალი“ გამოდგა, ისევე, როგორც ქუთაისელი სულიკო დავითაშვილისთვის.



| ბომბარდირები | |
|---|---|
| 16 - გონჩაროვი | *სიონი* |
| გოცირიძე | *ვიტ ჯორჯია* |
| 14 - დავითაშვილი | *თბილისი/ტორპედო* |
| 11 - ახალაია | *დინამო* |
| 10 - კაკალაძე | *ბათუმი/დინამო* |
| 9 - მიკუჩაძე | *თბილისი* |




ლევან ცქიტიშვილმა და დანარჩენმა „ფრაიბურგმა“ ბრემენელებს საჩემპიონო შანსი შეუმცირეს

# ფრაი ბრემენშიც ფრინავს

## დარასელიას გოლი წაართვეს და დაუბრუნეს

## განითლებული სირაძე აქეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ქართულ ლეგიონს ხელი ტრავმებმა დარია. კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, შოთა არველაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, გოგა გახოკიძე, მალხაზ ასათიანი — ამ ბიჭებს მოედანზე გასვლაში ხელს ავადმყოფობა უშლის. არადა, ისინი ხომ დღეს ქართული ფეხბურთის, ნაკრების ნაღებად ითვლებიან. ერთი სიტყვით, ამ შვიდეულს, ცხადია, სწრაფად გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ. მანამდე კი დანარჩენ ჩვენებურთა „საქმენი საგმირონი“ მიმოვიხილოთ.*

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | მოდენა 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 4 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ჰამბურგი 4:1 | 0 | ტრავმირებულია | 23 | 0 | 5 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 7 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვერდერი 1:1 | 67 | შეცვალეს | 22 | 4 | 10 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | შ | ბურგჰაუზენი 3:0 | 21 | შეცვლაზე ითამაშა | 24 | 6 | 8 |
| დავით სირაძე | უნიონი | ს | არმინია 1:2 | 81 | გააძევეს | 6 | 0 | 17 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | აუსტრია 1:3 | 74 | შეცვალეს | 20 | 1 | 9 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 12 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | მოზერუელი 1:0 | 0 | ტრავმირებულია | 17 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ვოლენდამი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 24 | 2 | 11 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | აარაუ | ს | ქსამაქსი 1:4 | 90 | 1 გოლი | 7 | 5 | 8 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | ს | რუბინი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 1 | 0 | 5 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | ს | რუბინი 0:0 | 82 | შეცვალეს | 4 | 0 | 5 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | ს | რუბინი 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | ს | შინიკი 1:1 | 80 | 1 გოლი, შეცვალეს | 2 | 1 | 13 |
| ლევან გვაზავა | ალანია | ს | შინიკი 1:1 | 71 | შეცვალეს | 3 | 0 | 13 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | ს | ამკარი 0:2 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 16 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | ს | როტორი 3:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 3 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | სატურნი 0:0 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | შ | ყუბანი 3:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| **რუსეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| კახა ცხადაძე | ანჟი | შ | ტომი 1:0 | 90 | | 2 | 0 | 2 |
| კახა მჟავანაძე | ანჟი | შ | ტომი 1:0 | 90 | | 2 | 0 | 2 |
| ედიკ საჯაია | არსენალი | შ | სოკოლი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 2 | 0 | 13 |
| გიზო ჯელაძე | სოკოლი | ს | არსენალი 1:0 | 69 | შეცვალეს | 2 | 0 | 3 |
| ზურაბ ფოფხაძე | მ. კუზბასი | ს | ჩერნომორეცი 0:0 | 90 | | 2 | 0 | 14 |
| ლევან ბერიშვილი | მ. კუზბასი | ს | ჩერნომორეცი 0:0 | 0 | სათადარიგო | 1 | 0 | 14 |
| ვასილ გიგიაძე | ურალანი | ს | ლისმა-მორდოვია 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 6 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | შ | ობოლონი 0:0 | 61 | შეცვალეს | 18 | 1 | 5 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | შ | ობოლონი 0:0 | 86 | შეცვალეს | 17 | 10 | 5 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | ს | ილიჩევეცი 1:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 1 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | შ | კარპატი 1:0 | 0 | სათადარიგო | 15 | 2 | 15 |
| გია ჭანტურია | ტავრია | შ | კარპატი 1:0 | 0 | სათადარიგო | 5 | 0 | 15 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | შ | კარპატი 1:0 | 90 | | 4 | 1 | 15 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | შ | კარპატი 1:0 | 90 | | 4 | 0 | 15 |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | შ | კარპატი 1:0 | 0 | | 0 | 0 | 15 |
| გოჩა ტრაპაიძე | ვოლინი | შ | ბორისფენი 1:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 8 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | შ | დნიპრო 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 0 | 7 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | ს | იოზგათი 3:1 | 90 | გააფრთხილეს | 20 | 0 | 6 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | ს | ვისლა 1:2 | 90 | | 17 | 1 | 3 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | ს | ჩერნომორეცი 3:1 | 19 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | ს | როდოპა 0:2 | 0 | სათადარიგო | 10 | 1 | 7 |
| **ლატვია. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | შ | აუდა 3:0 | 90 | 1 გოლი, საგოლე პასი | 1 | 1 | 2 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | შ | აუდა 3:0 | 90 | | 1 | 0 | 2 |
| გიორგი ყიფიანი | სკონტო | შ | აუდა 3:0 | 29 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 2 |
| თამაზ პერტია | დინაბურგი | შ | რიგა 2:1 | 86 | შეცვალეს | 1 | 0 | 4 |
| **მოლდოვა. თასის ნახევარფინალი** | | | | | | | | |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | ნისტრუ 3:1 | 90 | | | | |
| მურთაზ ბურნაძე | შერიფი | შ | ნისტრუ 3:1 | 36 | შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს | | | |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | დოჰა 10:1 | 0 | სათადარიგო | 19 | 8 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | დოჰა 10:1 | 45 | შეცვალეს | 8 | 2 | 5 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | დოჰა 10:1 | 63 | 1 გოლი, შეცვალეს | 7 | 5 | 5 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | ს | ომონია 1:1 | 90 | | 17 | 14 | 8 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | აპოლონი 2:0 | 67 | შეცვალეს | 17 | 3 | 4 |
| გიორგი ქორიძე | ონისილოსი | ს | აეკ 1:3 | 0 | | 18 | 9 | 13 |
| **ყაზახეთი. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| კახა კვეტენაძე | ორდაბასი | შ | ეკიბასტუზეცი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| ზურაბ არჩვაძე | ეკიბასტუზეცი | ს | ორდაბასი 1:0 | 59 | შეცვალეს | 1 | 0 | 5 |
| ლევან ბაჯელიძე | ატირაუ | შ | ჟენისი 2:0 | 69 | შეცვალეს | 1 | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

***ბუნდესლიგაში ლევან ცქიტიშვილი და მისი „ფრაიბურგი“ გამოირჩნენ.*** ფოლკერ ფინკეს ბიჭებმა ლიდერ „ვერდერს“ ბრემენში აართვეს ქულა. ახალგამოჯანმრთელებული ცქიტიშვილი 67-ე წუთამდე იყო მოედანზე, მერე კი „ფრაიბურგი“ ბაირამოვიჩის გაძევების გამო კაცნაკლული დარჩა და მწვრთნელმაც ჩვენებური ტაქტიკური მოსაზრებით შეცვალა. „ფრაიბურგმა“ მაინც შეძლო სასურველი ანგარიშის შენარჩუნება და ათეულსაც შერჩა.

სამწუხარო ამბავი შეემთხვა უნიონელ *დავით სირაძეს.* საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ეს-ესაა, ბერლინელთა ძირითადში ფეხი მოიკიდა და... გუშინწინდელი წითელი ბარათით საქმე გაირთულა. აი, რა გვითხრა დათომ, როცა გერმანიაში შევეხმიანეთ: „პირველი ყვითელი იმიტომ მომცეს, რომ მოედნის ცენტრში ბურთი ხელზე მომხვდა და მსაჯმა ეს არ მაპატია. ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ... მერე ერთ-ერთ მეტოქესთან დავჯარიმდი და გამაძევეს. ვფიქრობ, ცუდად არ მითამაშია, კუთხურებს და ჯარიმებს მე ვასრულებდი. აქაურ პოპულარულ არხ DSF-ზეც საკმაოდ ნორმალური შეფასება მომცეს“.

ერთი სიტყვით, სირაძის „უნიონმა“ ერთ-ერთ ლიდერ „არმინიასთან“ 1:2 წააგო და კვლავაც გავარდნის რეალური კანდიდატია.

***სეზონის მეხუთე გოლი გაიტანა მიხეილ ყაველაშვილმა.*** ცუდი მხოლოდ ისაა, რომ „აარაუმ“ ჩვენებურის გარჯა ვერ შეიშნოვა და აუტსაიდერ „ქსამაქსთან“ 1:4 შერცხვა. ყაველაშვილისთვის კი 7 მატჩში გატანილი 5 გოლი ურიგო შედეგი ნამდვილად არ არის.

***ვიტალი დარასელიას სულაც გოლს ედავებიან.*** რუსეთში დღემდე ვერ გაიგეს, ვინ გაიტანა გოლი „შინიკ“—„ალანიას“ მატჩში. ოსთა ქართველმა ახალწვეულმა კუთხურიდან თავისებურად დააბზრიალა და... ბურთი კარში აღმოჩნდა. ოღონდ ეგაა გასარკვევი, შეეხო თუ არა ვინმე ბურთს. „სპორტ-ექსპრესის“ მტკიცებით, ეს პაგაევმა შეძლო. თუმც ენტევე-ფუტბოლი და სხვა წყაროები გოლს დარასელიას მიაწერენ.

მოსკოვის „ლოკომოტივის“ სარეზერვო გუნდის ქართველი თავდამსხმელი *რომან ახალკაცი* დაიქოქა. ბოლო ორი მატჩია, ჩვენებურს ორ გოლზე ნაკლები არ გააქვს. წინა ტურში ახალკაცმა მოსკოვის „ტორპედოსთან“ გამოიჩინა თავი და გუნდს ქულაც გადაურჩინა (2:2), გუშინწინ კი ყაზანის „რუბინთანაც“ საუკეთესო იყო. რკინიგზელები რომას გოლებით ორჯერ იგებდნენ, თუმც უხეში შეცდომების გამო 2:3 წააგეს. ახალკაცმა შეუცვლელად ითამაშა. ქართველი შემტევი დუბლების ჩემპიონატის ბომბარდირებში მეორე ადგილზეა და ორი გოლით ჩამორჩება ლიდერს.

ყაზანში „დიდმა“ „ლოკომოტივმაც“ ითამაშა. იური სიომინის ბიჭები უგოლოდ გაეყარნენ წინა ჩემპიონატის აღმოჩენა „რუბინს“, თუმც საინტერესო ამბები ნამატჩევს მოხდა. ბარგშეკრული რკინიგზელები აეროპორტს მიადგნენ და... რეისი გადაიდო. უამინდობის გამო *მიხეილ აშვეთიას* და მის თანაგუნდელებს მოსკოვში დაბრუნება არ ეწერათ და ღამე ყაზანში გაათიეს. „ლოკომოტივი“ შინ მეორე დილით დაბრუნდა.

***ლატვიაში სეზონი გაიხსნა და ლევან კორღალიძემაც გაილაღა.*** „სკონტომ“ 3:0 მოუგო „აუდას“. კორღალიძემ ერთი თავად გაიტანა და ერთიც თანაგუნდელს გაატანინა. თუმცა 55-ე წუთზე პენალტიც გააცუდა. ამ მატჩში *გიორგი ყიფიანის* ლატვიური დებიუტიც შედგა.

***კვიპროსზე აქამდე ფეხბურთელი თემურ ქეცბაია მწვრთნელადაც ახმაურდა.*** 10:1 — ასე მოგუდა „ანართოსისმა“ სტუმრად „დოჰა“. ქეცბაიამ მოედანზე გასვლა არ ისურვა და სათადარიგოთა სკამიდან მოძღვრავდა შეგირდებს. ძირითადში იყვნენ *გიორგი გაბიდაური* და *კლიმენტი წიტაიშვილი,* თუმც ათიდან მხოლოდ ერთი ქართული გოლი შეძლეს: 30-ე წუთზე წიტაიშვილმა პენალტი გაიტანა.

***ალექსანდრე ამისულაშვილის „დინამომ“ „შახტარს“ გაასწრო.*** რა ხანია, კიეველები ამაზე ოცნებობდნენ და აგერ, აიხდინეს კიდეც — „შახტარმა“ ერთი წაიფორხილა და... ვაგლახ, „დინამოს“ გალიდერებაში ჯერაც ნულია ამისულაშვილის წვლილი, ვინც ოდენ სარეზერვო გუნდში თამაშობს.

**კახა შალამბერიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

## არსენალი — ჩელსი

ლონდონი. „ჰაიბერი". მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია). პირველი მატჩი: 1:1

# მეთოფე ვნახე დაჭრილი

### პარკერს წაქცეულის ჩაწიხვლა სურს



კლაუდიო რანიერი

**ლონდონური** დერბის წინ არსენ ვენგერი პოლ სქოულზზე ბრაზობს, კლაუდიო რანიერი კი კვლავ თავის მომავალზე მკითხაობს.

მასპინძელთა ფრანგი მწვრთნელი გასულ უმქეებზე სამმაგად დაზარალდა. „მანჩესტერ იუნაიტედთან" ასოციაციის თასის ნახევარფინალი წააგო, ფრედი ლიუნგბერგი დაუშავდა, ხოსე ანტონიო რეიესს კი სქოულზმა დაახლოებით სამკვირიანი ლაზარეთი გამოუწერა. მოკლედ, „არსენალის" შემტევი ძალა ოდნავ შესუსტდა. „მეთოფეებს" დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ.

„არისტოკრატების" მხარეს დასჯილი ერთია. „არსენალთან" პირველ მატჩში ღლაბუცობა მარსელ დესაის წითელ ბარათად დაუჯდა და დღეს ვერ ითამაშებს. სხვა მხრივ, „ჩელსის" არაფერი უჭირს. ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი „ჰაიბერიზე" თუ გამოჩნდება, სტუმრებს მოგების იმედი გაუჩნდებათ. ადრიან მუტუს და ერნან კრესპოს მყიდველი გუნდი სათადარიგოებში დაძველებული ჰოლანდიელის ხარჯზე იგებს. ჯიმი როცა თამაშობს, გოლის ან საგოლე პასის გარეშე მოედანს იშვიათად ტოვებს. რანიერი მას ადრე ნაკლებად ენდობოდა, ახლა კი მეტ დროს უთმობს.

იტალიელი მწვრთნელის მომავალი კი ჯერაც გაურკვეველია. თითქოს ათავისუფლებდნენ, მერე აბრამოვიჩმა და კინიონმა მოუბოდიშეს.

თავად კლაუდიო რანიერიმ თქვა: „არსენალის" დამარცხების ბოლო შანსი მაქვს „ჩელსის" თავკაცის რანგში. რადგან ასე ვამბობ, ნიშნავს, რომ ზაფხულში ჩემს ლონდონურ მოღვაწეობას დავასრულებ. წასვლა თუ მიწერია, თავაწეული წავალ. დამტოვებენ? მით უფრო ბედნიერი ვიქნები, მაგრამ ჩემი ბედი „არსენალთან" მატჩის შედეგით არ გადაწყდება. ფაქტია, რომ ამჟამინდელი „ჩელსის" შექმნაში წვლილი მიმიძღვის. ჩემპიონთა ლიგის ბოლო ხუთი გასვლითი მატჩი ისე მოვიგეთ, გოლი არ გაგვიშვია. ეს ძალიან კარგია და ვფიქრობ, ტრადიციას „ჰაიბერიზე" გავაგრძელებთ. ჩვენს გუნდს ბრძოლა შეუძლია და ეს „სტემფორდ ბრიჯზეც" ნახეთ".

„ჩელსის" ნახევარმცველი სკოტ პარკერი: „არსენალი" ძლიერი გუნდია, მაგრამ „მანჩესტერთან" მარცხის შემდეგ დაჭრილი მეტოქე საბოლოოდ უნდა წავაქციოთ. ნებისმიერი წარმატებული სერია ოდესღაც წყდება. 1998 წლის შემდეგ „არისტოკრატებს" „მეთოფეები" არ დაუმარცხებიათ და ნავსის გატეხვა გვსურს".

არსენ ვენგერი ლიუნგბერგისა და რეიესის ტრავმიანობამ შეაწუხა, მაგრამ მაინც იმედიანადაა: „ჩელსელებს „სტემფორდ ბრიჯზე" შეეძლოთ საქმის ბოლომდე მიყვანა, როცა გოლი გაგვიტანეს და რამდენიმე კარგი შანსი გაანიავეს. ჩვენ სტუმრად გატანილი ძალიან წაგვადგება და ეს იქნებ გადამწყვეტი გამოდგეს. დაცვაში ჯდომას არ ვაპირებთ, მიუხედავად იმისა, რომ სასწორზე ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზური დევს. ლონდონურ დერბიში, როგორც ყოველთვის, ღია, შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**



„მანჩესტერთან" სათასო ნახევარფინალში პოლ სქოულზმა ხოსე რეიესს ფეხებში ისე მიარტყა, არსენალელი დღეს სალიგო ნახევარფინალს გამოტოვებს



„არსენალს" დღეს ვერც ფრედი ლიუნგბერგი დაეხმარება

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი**
ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ჟილბერტო სილვა, ვიეირა, ედუ, პირესი, ანრი, ბერხკამპი

**ჩელსი**
ამბროზიო, ჯონსონი, გალასი, ტერი, ბრიჯი, გრონკიაერი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, კრესპო, გუდიონსენი

**დისკვალიფიცირებულნი:**
არსენალი: არავინ
ჩელსი: მარსელ დესაი (1 მატჩი)

## მონაკო — რეალი

მონტე კარლო. „ლუი II". მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). პირველი მატჩი: 2:4

# რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მონაკო

დღეს მადრიდის „რეალი" „მონაკოს" აშკარა ფავორიტად ესტუმრება — პირველი შეხვედრა 4:2 აქვს მოგებული. თუ გახსოვთ, ორი კვირის წინ, „სამეფო გუნდმა" მონაკოელთა მასპინძლობისას შესვენებამდე გვარიანად იწვალა, თუმცა მეორეში ყველაფერი ყირაზე დააყენა. ეგ იყო მხოლოდ, 4:1-ს რომ იგებდა, მისმა ღვიძლმა შვილმა, ფერნანდო მორიენტესმა თავურით მეორეც შეუგდო. მორიენტესი საგრაფოში მხოლოდ ერთი სეზონით გახლავთ გასესხებული.

„ჩვენ გვინდა მაქსიმუმი გავიღოთ და რაც კი შეგვიძლია გავაკეთოთ — ამბობს ფორვარდი — თუმცა იმასაც ახლავე მოგახსენებთ, რომ თუ „რეალს" ვძლევთ, გასაოცარი საქმე იქნება. ორივემ თავისი შესაძლებლობების 100 პროცენტი რომ აჩვენოს, შემდეგ ეტაპზე „რეალი" გავა. ჩვენ ნახევარფინალისთვის რაღაც უფრო მეტი გვჭირდება".

„მონაკო" საფრანგეთის ჩემპიონატში ლიდერობს, „ლიონს" ერთი ქულით უსწრებს, „რეალს" კი ნახევარდაცვაში შესუსტებული დახვდება — არგენტინელი ლუკას ბერნარდი დისკვალიფიცირებული ჰყავს, ხოლო ბერძენი ანდრეას ზიკოსი დაშავებული. ვერ ითამაშებს ცენტრალური მცველი სებასტიან სკილაჩიც. ეს ის ფეხბურთელია, რომელმაც პირველ შეხვედრაში შეაგდო, მაგრამ ფეხიც იტკინა.

სამაგიეროდ, „მონაკოს" თავკაცის, დიდიე დეშანის გასახარად გამოჯანმრთელდნენ მარცხენა მცველი პატრის ევრა და, რაც ყველაზე სასურველი იყო, თავდამსხმელი შაბანი ნონდა — ნონდა მოედანს შვიდი თვის მონატრებული გახლდათ, როდესაც პარასკევს, „აიაჩოსთან" 3:3 ნათამაშებ მატჩში გოლიც გვანახა და საგოლე პასიც.

„რეალს" არ ეყოლება დისკვალიფიცირებული დევიდ ბექემი, კაცმა არ იცის, ითამაშებს თუ ვერა ივან ელგერა, თუმცა ის, რომ ბექემის ადგილს ან სანტიანგო სოლარი შეავსებს და ან ბორხა, ყველასთვის ცნობილია.

ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება რობერტო კარლოსი.

ერთი სიტყვით, მადრიდელთა მწვრთნელის, კარლუშ კეიროშის ერთადერთი საწუხარი ელგერას ამბავია. ელგერას საზარდული უნდა შეუმოწმონ და მერე გაირკვევა, ალეარო მეხია მოედანზე იქნება თუ სათადარიგოთა სკამზე.

საინტერესოა, რომ მიმდინარე სეზონში „რეალი" ფრანგულ გუნდს მეორედ გადაეყარა და ამ საღამოს ჯამში მეოთხე თამაში ელის. წინა სამი მადრიდელებმა მოიგეს, ორჯერ ჯგუფში, „მარსელთან" და ერთხელაც, ამ „მონაკოსთან" ორი კვირის წინ.

რაც შეეხება „მონაკოს", მასზე ის შეიძლება ითქვას, რომ სამთავროელებმა ჩემპიონთა ლიგის ბოლო ექვს საშინაო შეხვედრაში 23 გოლი გაიტანეს, მათ შორის 8 ესპანელი მოწინააღმდეგის, „დეპორტივო ლა კორუნიას" კარში.

**ბაკუნა ძედია**





„მონაკოს" სებასტიან სკილაჩი ტრავმის გამო დააკლდება, რეალელი დევიდ ბექემი კი დასჯილია და ამიტომაც იუქმებს



ფერნანდო მორიენტესი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მონაკო**
რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ე. სისე, პლასილი, ჟიული, როტენი, პრსო, მორიენტესი

**რეალი**
კასილიასი, სალგადო, ელგერა (ან მეხია), რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, გუტი, სოლარი (ან ბორხა), ზიდანი, რაული, რონალდო

**დისკვალიფიცირებულნი:**
მონაკო: ლუკას ბერნარდი (1 მატჩი)
რეალი: დევიდ ბექემი (1 მატჩი)



კრისტიან ვიერის პენალტის გატანა არ გასჭირვებია

# ყველაზე სწრაფი სერიელი
## ლიპი კოლინას ვერ შეედავა

**იტალია**

**სერია A. XXVIII ტური**

**ინტერი 3:2 იუვენტუსი**

1:0 მარტინსი (6), 1:1 კილი გონსალესი (25ს.კ.), 2:1 ვიერი (45პ), 3:1 სტანკოვიჩი (47), 3:2 დი ვაიო (90)
**ინტერი:** ფონტანა, ი. კორდობა, მატერაცი, გამარა, ხ. ძანეტი, ფარინოსი (ალმეიდა 55), კ. ძანეტი, კილი გონსალესი (პელვეგი 82), დ. სტანკოვიჩი (კარაგუნისი 69), ვიერი, ო. მარტინსი
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
**იუვენტუსი:** ბუფონი, ლეგროტალიე, ტუდორი, მონტერო, ბირინდელი, კამორანეზი (ა. კონტე 72), ტაკინარდი, აპია (მარესკა 46), ძამბროტა, ტრეზეგე, მიკოლი (დი ვაიო 57)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
გაფრთხილება: მონტერო, ფარინოსი, მონტერო
გაძევება: მონტერო (62)
მსაჯი: კოლინა
72 029 მაყურებელი





ამ სეზონში ალბერტო ძაკერონიმ მარჩელო ლიპი უკვე მეორედ დაამარცხა. ეგრეთ წოდებული „იტალიის დერბი“ ანუ „ინტერი“ „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ამჯერად საპირველადგილო ბრძოლა არ ყოფილა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნამდვილად გახლდათ, რადგან „იუვეს“ მეორეზე, „ინტერს“ კი მეოთხეზე გასვლა სჭირდება — სერია A-ს მეორე გუნდი პირდაპირ ლიგის ჯგუფში ხვდება, მეოთხე კი საკვალიფიკაციოზე. „იუვენტუსს“ აკლდნენ პაველ ნედვედი, ალესანდრო დელ პიერო და ლილიან ტურამი. სასურველთაგან „ინტერში“ ალვარო რეკობა ფრანჩესკო ტოლდო და ადრიანო ვერ თამაშობდნენ.

შეგახსენებთ, რომ კვირის მეტოქეები არცთუ დიდი ხნის წინ კოპა იტალიას ანუ იტალიის თასის ნახევარფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და ორივე მატჩი 2:2 დაასრულეს.

ამჯერად, „სან სიროზე“ „ინტერმა“ „ბებერ ქალბატონს“ აჯობა — გთხოვთ, ანგარიში ნუ მოგატყუებთ. ტურინელების დაცვის ხაზი წლევანდელი ტრადიციის შესაბამისად ხშირად ცდებოდა. მეტიც, მე-6 წუთზე ანგარიში უკვე 1:0 იყო „შავ-ლურჯების“ სასარგებლოდ — დეიან სტანკოვიჩმა ობაფემი მარტინსს მიაწოდა და მან შეაგდო. ეს გახლდათ ძალიან სწრაფი და ჭკვიანური კომბინაცია, რომელიც „შავ-თეთრი“ მცველებისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა.

„იუვემ“ 25-ე წუთზე გაქვითა. უფრო სწორად, მაურო კამორანეზის ჩაწოდებული კილი გონსალესმა უილბლობით საკუთარ კარში შეაგდო, თუმცა ზედ შესვენების წინ სტანკოვიჩის წაქცევისთვის პიერლუიჯი კოლინამ თანამსაჯის რჩევით პენალტი დანიშნა. პენალტი კრისტიან ვიერიმ გაიტანა.

საინტერესოა, რომ თავად კოლინამ ჩასტვენა არ იჩქარა. ალბათ, შეამჩნია, სტანკოვიჩმა ჯანლუიჯი ძამბროტას განზრახ რომ დაუტოვა ფეხი წამოსადებად, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, თანამსაჯთან კონსულტაციამ პენალტის დანიშვნა გადააწყვეტინა.

მესამე გოლი სტანკოვიჩმა თავად შეაგდო. ეს თამაში განახლდა თუ არა, მაშინვე მოხდა. სერბი მარჯვნიდან ჩაწოდებულ ბურთს შორეულ ძელთან დახვდა და დაბალი მიჰკრა, ხოლო ამის შემდეგ კოლინამ „იუვეს“ ბურთაობასა და მოედნის დატოვებაში გამოცდილი მცველი, პაოლო მონტერო დასაჯა — მეორე ყვითელი ანუ წითელი აჩვენა. სტატისტიკის თანახმად, ეს ურუგვაელის მე-16 გაძევება გახლდათ სერია A-ში.

ამის შემდეგ თამაში მინავლდა და მხოლოდ ბოლოსღა გამოცოცხლდა, როდესაც ალესანდრო ბირინდელის ჩაწოდებულ ჯარიმას მარკო დი ვაიომ თავით ზუსტი მიუჩინა ადგილი.

ალბერტო ძაკერონი: „თუ მარტინსს წინ გასაქცევი სივრცე მიეცემა, იგი ნებისმიერ მეტოქეს შეუქმნის პრობლემას. ამწუთას სერია A-ში მასზე სწრაფი არავინ არის. რაც შეეხება სტანკოვიჩს, მე „ლაციოში“ მისი წვრთნის ბედნიერება მქონდა და პირველად მაშინ მივხვდი, რომ დეიანის თავდამსხმელების უკან გამოყვანით ეფექტურობას გავზრდიდი. ის არ არის კლასიკური მეორე თავდამსხმელი, რომელიც კარისკენ ზურგით თამაშსაც ახერხებს. საერთოდ, დღეს დიდი ტაქტიკური თამაში არ გამოვიდა. ეს იყო უფრო სწრაფი და ჟინიანი სანახაობა.“

მარჩელო ლიპი: „შედეგი შედეგად და ტაიმის მიწურულს დანიშნულმა პენალტმა ნამდვილად გაგვაოგნა. შემდეგ, განახლდა თუ არა შეხვედრა, კიდევ ერთი გავუშვით, პლუს მონტერო გაგვიგდეს... პენალტზე იმას გეტყვით, რომ კონტაქტი უთუოდ იყო, მაგრამ ყოველგვარი პროტესტის გარეშე, გულწრფელად მოგახსენებთ: სტანკოვიჩი წაქცევის საბაბს ეძებდა. რაც შეეხება გაძევებას, ეს მგონი ცოტა გადაჭარბებული უნდა ყოფილიყო, თუმცა რაკილა კოლინამ ასე განსაჯა, ესე იგი მიზეზი ჰქონდა“.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 28 | 21 | 6 | 1 | 56:19 | 69 |
| რომა | 27 | 18 | 6 | 3 | 59:13 | 60 |
| იუვენტუსი | 28 | 18 | 5 | 5 | 56:34 | 59 |
| ლაციო | 27 | 14 | 5 | 8 | 43:30 | 47 |
| პარმა | 28 | 13 | 8 | 7 | 44:37 | 47 |
| ინტერი | 28 | 13 | 7 | 8 | 47:29 | 46 |
| უდინეზე | 28 | 11 | 9 | 8 | 35:32 | 42 |
| სამპდორია | 28 | 10 | 11 | 7 | 36:34 | 41 |
| ბოლონია | 28 | 9 | 8 | 11 | 36:40 | 35 |
| კიევო | 28 | 8 | 9 | 11 | 28:32 | 33 |
| ბრეშა | 28 | 7 | 10 | 11 | 45:50 | 31 |
| სიენა | 28 | 7 | 9 | 12 | 35:44 | 30 |
| ლეჩე | 28 | 7 | 7 | 14 | 31:46 | 28 |
| რეჯინა | 28 | 5 | 13 | 10 | 24:39 | 28 |
| მოდენა | 28 | 5 | 11 | 12 | 24:38 | 26 |
| ემპოლი | 28 | 6 | 8 | 14 | 20:44 | 26 |
| პერუჯა | 28 | 3 | 13 | 12 | 34:48 | 22 |
| ანკონა | 28 | 0 | 7 | 21 | 13:57 | 7 |

იტალიის ჩემპიონატის 28-ე ტურის გმირებსა და ანტიგმირებზე ტრადიციულად დომინიკ ანტონიონი მოგახსენებთ

# ბალიმ კოზმი ტყემალზე შესვა
## ეს დონი იმ დონის აღარაა

*დეიან სტანკოვიჩი (ინტერი)* — ირონიულია, რომ სტანკოვიჩმა „ინტერში“ თავისი საუკეთესო თამაში იმ გუნდისთვის შემოინახა, რომელსაც მისი შეძენა სულ რაღაც ორი თვის წინ სურდა ძალიან. მან პირველი გოლის დროს ასისტენტობა გასწია, მეორე შემთხვევაში პენალტი მოიპოვა, ხოლო მესამე თავად შეაგდო.

*სეზარი (ლაციო)* — მას მერე, რც „ლაციოსა“ და „სიენას“ მატჩში (5:2) ამ ბრაზილიელმა ჰეთ თრიქი შეასრულა, მისი გმირთა შორის არ შეყვანა შეუძლებელი გახდა. დღეს, იტალიურ ფეხბურთში მასზე ეფექტური მარცხენაფლანგელი არ არის. გასაკვირი სულაც არ იქნება, მის შესაძენად „ინტერი“, „მილანი“ და სხვა ბობოლები თუ გააქტიურდებიან.

*დანიელე ბალი (ემპოლი)* — „პერუჯას“ მწვრთნელმა სერსე კოზმიმ ვერ დაიჯერა, რომ მისმა გუნდმა „ემპოლისთან“ წააგო. პერუჯელები მეტოქეს სჯობდნენ, მაგრამ ტომაზო როკის გოლით დამარცხდნენ. თუმცა, „ემპოლის“ მთავარი გმირი როკი არ ყოფილა, ეს იყო მეკარე ბალი, რომელმაც პერუჯელთა ყველა დარტყმული მოიგერია.

*პაოლო მონტერო (იუვენტუსი)* — კარიერაში მე-16 წითელი ბარათი შესაძლოა, „იუვეს“ ქომაგებისთვის მეტისმეტი აღმოჩნდეს. მისი უხეშობის გამო თამაშში, რომელშიც ისედაც უჭირდათ, ტურინელები 10 კაცით დარჩნენ. ისწავლი მონტერო ოდესმე ჭკუას? არ არის გამორიცხული, რომ მან „იუვეს“ ახალ ეპოქაში მონაწილეობა ვეღარ მიიღოს.

*ფილიპო ინძაგი (მილანი)* — რა მოუვიდა სუპერპიპოს? თანაგუნდელები დიდებულ მომენტებს უქმნიან, იგი კი ბურთს კარში ვერ უმიზნებს. ამ მილანელმა წინა ტურში „კიევოსთან“ და ამჯერად „მოდენასთან“ ვერ გამოიყენა ჩინებული შესაძლებლობები.



პაოლო მონტერო: ჭკუას როდის ვისწავლი?!

*კრისტიანო დონი (სამპდორია)* — ამ დონის ძველთან კავშირი აღარ აქვს. ადრე დონი პაწაწინა „ანკონას“ შავ დღეს დააყენებდა, მაგრამ ახლა იდეისმაგვარიც აღარ მოსვლია თავში.



დეიან სტანკოვიჩი

**საფრანგეთი**

**I დივიზიონი. XXXI ტური**

**გენგამი 2:2 ოსერი**

1:0 დაგანო (33), 1:1 სირიექსი (53), 2:1 კოლო (76), 2:2 კაპო (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 31 | 18 | 10 | 3 | 52:23 | 64 |
| ლიონი | 31 | 19 | 6 | 6 | 53:23 | 63 |
| პსჟ | 31 | 17 | 9 | 5 | 43:23 | 60 |
| სოშო | 31 | 15 | 9 | 7 | 44:32 | 54 |
| ოსერი | 31 | 15 | 6 | 10 | 48:27 | 51 |
| მარსელი | 31 | 15 | 5 | 11 | 44:36 | 50 |
| ნანტი | 31 | 13 | 7 | 11 | 39:31 | 46 |
| ლანსი | 31 | 13 | 6 | 12 | 27:40 | 45 |
| ნიცა | 31 | 10 | 14 | 7 | 34:29 | 44 |
| ლილი | 31 | 12 | 8 | 11 | 35:31 | 44 |
| ბორდო | 31 | 11 | 10 | 10 | 30:31 | 43 |
| რენი | 31 | 10 | 9 | 12 | 41:38 | 39 |
| ბასტია | 31 | 9 | 10 | 12 | 32:38 | 37 |
| სტრასბური | 31 | 8 | 9 | 14 | 40:48 | 33 |
| გენგამი | 30 | 9 | 5 | 16 | 30:47 | 32 |
| მეცი | 30 | 8 | 7 | 15 | 25:33 | 31 |
| აიაჩო | 31 | 8 | 7 | 16 | 27:48 | 31 |
| ტულუზი | 31 | 7 | 9 | 15 | 23:37 | 30 |
| მონპელიე | 31 | 8 | 4 | 19 | 36:59 | 28 |
| ლე მანი | 31 | 4 | 10 | 17 | 20:49 | 22 |

**დანია**

**I დივიზიონი. XVIII ტური**

ფკ ორჰუსი — ბრიონსჰიოი 1:1; ბ-93 კოპენჰაგენი — ფრემადი 2:2; ფრედერისია — ბ-1913 ოდენსე 1:1; იოლსტიკე — რანდერსი 0:3; ჰორსენსი — ნიკიობინგი 0:1; კიოგე — ნორდიულანდი 5:3; სილკებორგი — სკიოლდი 1:0; სონდერიულანდი — ვაილე 1:0




REUTERS ფოტოქრონიკა

ვალენსიელმა მისტამ ცაცია საგოლედ მატჩის ბოლოს მოიქნია

# გამოცდილება მაგრად ტეხავს

## ესპანეთი

**პრიმერადივიზიონი. XXXI ტური**

**ვალენსია 2:0 მურსია**

1:0 პელეგრინო (72), 2:0 მისტა (82)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, რ. აიალა, კარბონი (გარიდო 86), კურო ტორესი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე, რუფეტე (ხორხე ლოპესი 72), ხუან სანჩესი (ხისკო 56), მისტა
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მურსია: ხუანმი, ლოეშბორი, კლავერო, კუადრადო, მასიელი, ასკარატე, აკიარი, ვალერა, დ. კარანკა (ხუარესი 75), ლუის გარსია (მიჩელი 63), რიჩი (განსედო 26)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: მისტა, ბარახა, მასიელი, კლავერო
მსაჯი: უნდიანო მალენკო
40 000 მაყურებელი

მას მერე, რაც „დეპორტივო“ და „ბარსელონა“ საჩემპიონო ბრძოლას, ფაქტობრივად, გამოეთიშნენ, „რეალის“ ერთადერთ შემწუხებლად „ვალენსია“ დარჩა. ვალენსიელებმა კვირას, 31-ე ტურის ყველაზე გვიანდელ შეხვედრაში მაჩანჩალა „მურსია“ დაამარცხეს და ლიდერს კვლავინდებურად ერთი ქულით ჩამორჩებიან. თუმცა ისიცაა, რომ მეტოქის დასამარცხებლად „ვალენსიამ“ გვარიანად იწვალა და ინერვიულა.

მეორე მხრივ, „რეალს“ ჯერ კიდევ სათამაშო აქვს „ატლეტიკოსთან“, „ბარსელონასთან“ და „დეპორტივოსთან“ და ამის ფონზე „ვალენსიას“ დარჩენილი განრიგი იოლ გასეირნებას ჰგავს.

პირველი გოლი მასპინძლებმა 73-ე წუთზე გაიტანეს ხორხე ლოპესის კუთხურს მოყოლებული მაურისიო პელეგრინოს თავურით. საინტერესოა, რომ ლოპესი იმ წუთის შესული იყო მოედანზე და ბურთთან პირველივე შეხებით საგოლე პასი მიითვალა. ცხრა წუთის მერე კი მურსიელებმა საჯარიმოდან ბურთი ვერ გამოიტანეს და მისტას ცაციათი დაბალ კუთხეში ლონივრად დარტყმის საშუალება მისცეს.

არადა, ტრავმირებული პაბლო აიმარის არყოფნაში ვალენსიელებმა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ერთი ხეირიანი მომენტიც ვერ შექმნა. მეორე ტაიმი კი უკვე დაიწყო და საბოლოოდ „ვალენსიამ“ [illegible] ხა „მურსია“.

**ტოპ ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 31 | 20 | 7 | 4 | 64:36 | 67 |
| ვალენსია | 31 | 20 | 6 | 5 | 62:21 | 66 |
| დეპორტივო | 31 | 17 | 6 | 8 | 50:30 | 57 |
| ბარსელონა | 30 | 16 | 8 | 6 | 48:32 | 56 |
| ატლეტიკო | 31 | 13 | 9 | 9 | 38:36 | 48 |
| ოსასუნა | 31 | 10 | 15 | 6 | 32:27 | 45 |
| ბილბაო | 31 | 12 | 9 | 10 | 40:39 | 45 |
| მალაგა | 31 | 13 | 4 | 14 | 41:44 | 43 |
| სევილია | 31 | 11 | 8 | 12 | 40:36 | 41 |
| ვილიარეალი | 31 | 11 | 8 | 12 | 39:40 | 41 |
| ბეტისი | 30 | 9 | 12 | 9 | 38:34 | 39 |
| რასინგი | 31 | 10 | 9 | 12 | 41:49 | 39 |
| სარაგოსა | 31 | 10 | 8 | 13 | 36:41 | 38 |
| ვალიადოლიდი | 31 | 9 | 9 | 13 | 37:44 | 36 |
| სოსიედადი | 31 | 9 | 9 | 13 | 35:43 | 36 |
| ალბასეტე | 31 | 10 | 6 | 15 | 31:39 | 36 |
| მალიორკა | 31 | 9 | 6 | 16 | 37:57 | 33 |
| ესპანიოლი | 31 | 9 | 3 | 19 | 34:53 | 30 |
| სელტა | 31 | 6 | 11 | 14 | 40:59 | 29 |
| მურსია | 31 | 3 | 11 | 17 | 25:48 | 20 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| რონალდო (რეალი) | 24 |
| მისტა (ვალენსია) | 18 |
| სალვა (მალაგა) | 17 |
| ტორესი (ატლეტიკო) | 15 |

# 0 ვინ გამოართვა კამპ ნოუს ტაბლო? 0

*„ვილიარეალის“ მეკარემ ხოსე მანუელ რეინამ შაბათის საპრიმერო შეხვედრაში თავისი ოდინდელი „ბარსელონას“ წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა და „კამპ ნოუს“ ინჩასობა იძულებული გახადა, მთელი 90 წუთი ტაბლოზე 0:0-სთვის ეცქირა. მეტწილად სწორედ მანუელის სიმარჯვის გამო ვერ გაიხარა „ბარსამ“ ზედიზედ მე-10 გამარჯვებით.*

*ესპანური „ლიბრედირექტოს“ ინტერვიუ „ვილიას“ ჩაუქ მეკარესთან*

— „კამპ ნოუზე“ აღებული ქულით კმაყოფილი ხართ?

— უკმაყოფილო რატომ უნდა ვიყო?! ეს ქულა ცხრილში დაწინაურებაში დაგვეხმარება. თანაც, „კამპ ნოუზე“ მოპოვებული ნებისმიერი სახეირო შედეგი ვის არ გაუხარდება.

— თქვენი გუნდი ბოლო ხანს დაცვას მიეძალა. თქვენ რას ფიქრობთ „ვილიარეალის“ თამაშზე?

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის და პრიმერას ბოლო ორ შეხვედრაში ძნელ მეტოქეებთან — „ატლეტიკოსთან“ და „ბარსელონასთან“ ურიგოდ არ გვითამაშია. ეგაა, ორივე შეხვედრა უგოლოდ დასრულდა, უმჯობესი კი იქნებოდა, გოლები გასულიყო. მეკარეს კარის მშრალად შენახვა უნდა ერჩივნოს, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, მატჩები ჩვენი გამარჯვებით — 3:2 ან 4:3 დამთავრებულიყო.

— „ვილიას“ მცველებს „ბარსას“ სახიფათო ვარსკვლავების ჩაკეტვა გაუჭირდათ, მაგრამ ეს მაინც მოახერხეს. აღმოჩნდა, რომ კატალონიელთა სათამაშო მანერას კარგად იცნობთ...

— პაკიტოს ჩანაფიქრი თავიდანვე სწორი იყო, რისთვისაც, საბედნიეროდ, ფეხბურთელებსაც არ გვიღალატია. „ვილიარეალის“ უკანახაზელთა გამო ორი ყველაზე საშიში მეტოქე, რონალდინიო და ხავი, მინდორზე თავს ჩვეული სიხალვათით ველარ გრძნობდნენ, რაც „ბარსას“ მისთვის არასასურველ ფრედ დაუჯდა. ისე, კონტრშეტევებისას გატანა ჩვენებსაც შეეძლოთ, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ მატჩის შედეგს სამართლიანად მივიჩნევთ.

— პირადად რეინას თუ მოეწონა თავისი თამაში?

— ძალიან ბევრი სამუშაო მქონდა: „კამ ნოუს“ მეათე მოგება უნდოდა და ამიტომ, ბუნებრივია, გამუდმებით გვიტევდნენ. ცუდად არ მითამაშია, „ბარსას“ კი ამიერიდან მხოლოდ გამარჯვებას ვუსურვებ.

— ბურთი ორივე გუნდის კარის ძელს მოხვდა. თავდამსხმელთა მეტ სიზუსტეს შეიძლებოდა, მატჩის ბედი სხვანაირად გადაეწყვიტა...

— ეს უკვე ბედის ამბავია. ხშირად ხდება ასე, იხლართება სახიფათო კომბინაციები, მაგრამ შედეგზე ეს არ აისახება.

— ხუთშაბათს უეფას თასზე „სელტიკს“ ხვდებით. შოტლანდიელებთანაც „ვილიას“ დაცვით სისტემას უნდა ველოდოთ?

— „სელტიკი“ „ბარსასგან“ განსხვავებულ ფეხბურთს თამაშობს და იქაურ არენაზეც სხვანაირი ბურთაობაა საჭირო. ვეცდებით, „სელტიკ პარკზე“ გოლი გავიტანოთ, რაც საშინაო მატჩში უპირატესობას მოგვცემს.



ხოსე მანუელ რეინა უეფას თასის მერვედფინალში იტალიურ „რომასაც“ მაგრად დაუდგა

## სლოვენია

**სი მობილ ლიგა. XXII ტური**

პტუი — ლიუბლიანა 3:2; კოპერი — შმარტნო 1:1; მურა — მარიბორი 1:2; ნოვა გორიცა — აიდოვშინა 2:1; ოლიმპია — დომზალე 4:1; პუბლიკუმი — დრავოგრადი 2:3

## სლოვაკეთი

**I ლიგა. XXIV ტური**

ბანსკა ბისტრიცა — ინტერი 2:1; დუბნიცა — ტრენჩინი 0:0; სლოვანი — პუხოვი 2:0; ჟილინა — რუზომბეროკი 1:1; პეტრჟალკა — ტრნავა 0:2

## სერბეთი

**პრვა ლიგა. XXII ტური**

კომი — სუტიესკა 1:2; ოფკ — ვოივოდინა 0:1; პარტიზანი — სარტიდი 1:0; ბორაცი — ჰაიდუკი 1:0; ობილიჩი — ნაპრედაკი 2:1; ზემუნი — რადნიჩკი 0:0; ბუდუჩნოსტი — ცრვენა ზვეზდა 0:2; ჟელეზნიკი — ზეტა 2:0

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. XXI ტური**

ფერენცვაროში — დიოშ ეტო 4:0; დებრეცენი — მტკ 2:2; უიპეშტი — ბეკეშჩაბა 3:1; ზალაეგერსეგი — ბალატონი 1:1; შოპრონი — ვიდეოტონი 5:0; პეჩი — ჰალადაში 1:1


უდიდესი რუსული ტოტალიზატორი «ფონი»

გიწვევთ სათანამშრომლოდ



გახსენით ტოტალიზატორი თქვენს ქალაქში

ცნობებისთვის დარეკეთ
+7 095 9045011; +7 095 9045018

ფსონები და კაზინო ინტერნეტში: www.fonbet.info

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადადებული გადაიდო

## რომს ტიფოზების არ სჯერა

*რომის მუნიციპალიტეტმა დაადასტურა, გადადებული, უფრო სწორად, 48-ე წუთზე შეწყვეტილი რომაული დერბი 14 აპრილსაც არ გაიმართება. მიზეზი: ტიფოზებს ორგანიზატორებთან და წესრიგის დამცველებთან თანამშრომლობის სურვილს ვერ ატყობენ*




როდის გაიყიდება „ლაციო“ — „რომას“ მატჩის ბილეთები ჯერ არავინ იცის

შეგახსენებთ, რომ მატჩი 21 მარტს, მეორე ტაიმის მესამე წუთზე „რომას“ ქომაგთა გამო ჩაიშალა. ჭორი, თითქოს სტადიონს გარეთ პოლიციის მანქანამ ბიჭი მოკლა, მართალია, სამართალდამცავებმა მალევე უარყვეს, მაგრამ ვნებათაღელვა უკვე დაწყებული იყო და ქუჩებში ტიფოზებისა და კარაბინერების ორსაათიან შეტაკებაში გადაიზარდა.



ფაბიო კაპელო

„ჩვენ ჯერ ახალი ფაქტები უნდა გავაანალიზოთ — თქვა უსაფრთხოების შეფმა აკილე სერამ — ამწუთას მხოლოდ იმას გეტყვით, რომ თამაში 14 აპრილს არ ჩატარდება. ეს გადაწყვეტილება ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტის მიერ „რომას“ სტადიონის დისკვალიფიკაციის ერთიდან ორ თამაშამდე გაზრდამ მიგვაღებინა. საქმე ის არის, რომ 14 აპრილი „რომას“ იმ ორი მატჩის შუაშია, რომლებიც გუნდმა დედაქალაქს გარეთ უნდა ჩაატაროს“.

სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, „რომამ“ პირველად 10 აპრილს უნდა „უმასპინძლოს“ მეტოქეს რომს გარეთ, კერძოდ, პალერმოში, ზოგადად კი, იტალიურ საფეხბურთო მოვლენათა გადატვირთული კალენდრის გამო დერბის ჩასასმელად მხოლოდ ორი თარიღიღა რჩება, 21 აპრილი და 5 მაისი. შეგახსენებთ: 28 აპრილს იტალიის ნაკრები ესპანეთთან ამხანაგურ მატჩს გამართავს, ხოლო 12 მაისს იტალიის თასის ფინალის საპასუხო მატჩია — ტურინში „იუვენტუსი“ „ლაციოს“ მასპინძლობს.

14 აპრილის გაუქმებამ და მატჩის კიდევ ერთხელ გადადებამ „რომას“ თავკაცი, ფაბიო კაპელო გააბრაზა:

„მე თუ მკითხავთ, ქალაქში დაძაბულობა ასე უფრო იზრდება. ამ გადაწყვეტილებას კატეგორიულად ვეწინააღმდეგები და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვეულებრივი გულშემატკივრის ტრიბუნაზე არშეშვება შეცდომაა. იმ დღეს ინციდენტები სტადიონს გარეთ მოხდა და ამიტომ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც გადამეტებულად მიმაჩნია. თამაშის გადადებას კი ორი ხელით დავეთანხმე. ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ცამდე მართალი იყო. კატასტროფის წინაშე ვიდექით“.

რაც შეეხება „ლაციოს“ მწვრთნელს, რობერტო მანჩინის, მან თქვა:

„ვერ გეტყვით, 14 აპრილის გაუქმება პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო თუ არა, მაგრამ რადგან ასე გადაწყვიტეს, ალბათ, მიზეზი ჰქონდათ. ჩვენ, ჩვენი მხრივ, მზად ვართ, როდესაც გვეტყვიან მოედანზე გავიდეთ და ფეხბურთი ვითამაშოთ“.

**პაპუნა ძიდია**



რობერტო მანჩინი

*„ვერდერს“ და „ბაიერნს“ შორის სხვაობა შვიდ ქულამდე შემცირდა. რამდენიმე ტურის წინ კი 11 ქულა იყო, ხოლო უფრო ადრე ფრანც ბეკენბაუერმა „ვერდერი“ ჩემპიონად გამოაცხადა. დღეს ვითარება ისე შეიცვალა, რომ „ბაიერნს“ ჩემპიონობის შანსი კვლავ გაუჩნდა, რაც მიუნხენელთა გარდა კერკეტი „ფრაიბურგის“ დამსახურებაა*

# ვინ გაჩუქებს სასალათეს?

## შააფი უქეიფოდ ბრძანდება

დენის კრუპკემ პირველი ბუნდესლიგური გოლი უსწრაფესად გაიტანა, აილტონმა კი კლასნიჩის პასით გაათანაბრა. მეორე ტაიმში სტუმრებს კაცი გაუძევეს, მაგრამ „მუსიკოსებს“ ნოტები აერიათ და რიხარდ გოლცის კარს გასაღები ვერ მოუნახეს.

აღსანიშნავია, რომ „ვერდერმა“ იმ მატჩებიდან, რომელშიც ერთი გოლი გაიტანა, მხოლოდ ორი მოიგო, ანუ „ვერდერი“ 1:0-ის გუნდი არაა. ბრემენელებმა შეტევაში „ფრაიბურგთან“ მოიკოჭლეს და საბოლოოდ ფრეს დასჯერდნენ.

თომას შააფი: „ვფიქრობ, რომ ბიჭები ძალიან ადრე მოეშვნენ. რატომღაც დროზე ადრე ირწმუნეს ჩემპიონობა. ბუნდესასალათეს მუქთად და უბრძოლველად არავინ დაგვითმობს. „ფრაიბურგმაც“ ისეთივე ომი გაგვიჩაღა, როგორც ერთი კვირის წინ „შტუტგარტმა“. პირველობის შესანარჩუნებლად ყველა მატჩში მაქსიმალურად უნდა დავიხარჯოთ“ — დასძინა ფრაიბურგში ფრით გულდაწყვეტილმა „მუსიკოსთა“ მწვრთნელმა.

„ვერდერის“ მოსუსტებაზე თავისი აზრი აქვს ექიმ ფრანც ბიომერტს, რომელმაც აღნიშნა, ფეხბურთელების ბოლო შემოწმებამ აჩვენა, რომ გადაღლილები არიანო.

ფოლკერ ფინკეს გუნდისთვის იოან მიკუს შეზღუდვა დაუვალებია, რაც „ფრაიბურგმა“ კარგად შეასრულა. ფინკემ ნამატჩევს თქვა, ფრეს ვდარდობ, მოგება გვმართებდაო.

დორტმუნდის „ბორუსიამ“ პირველივე ტაიმში მოახრჩო „ბოხუმი“. რომელმაც მიჯრით მეორე შეხვედრა წააგო და მეექვსე ადგილი „შავ-ყვითლებს“ დაუთმო.

იან კოლერმა ახლო ძელთან თავური დარტყმით გაიტანა და ანგარიში გახსნა. ბოხუმელმა მადსენმა ვარმუზთან პირისპირ გასვლა გამოიყენა და მალე გაათანაბრა, მაგრამ სალვატორე გამბინოსა და ფრინგსის გოლებმა სტუმრები ფრეზე ფიქრსაც დააშორა.

გასულ ტურში „ვოლფსბურგის“ მწვრთნელი იურგენ რიობერი მოხსნეს. 50 წლის რიობერი გუნდიდან 13-თვიანი მუშაობის შემდეგ გაუშვეს. „შტუტგარტის“ და „ჰერტას“ ყოფილი თავკაცის ადგილს სავარაუდოდ, ბელგიელი ერიკ გერეტსი დაიკავებს, რომელიც თებერვალში „კაიზერსლაუტერნიდან“ დაითხოვეს.

**ვაჟა ხუციშვილი**






თომას შააფს „ფრაიბურგმა“ და მისმა მეკარე რიხარდ გოლცმა ხასიათი წაუხდინეს

# არ დაიდარდო

## ზეედორფს ბედმა ღიმილი აჩუქა



*მე გაზეთებს არ ვკითხულობ და ტელევიზორს არ ვუყურებ. ერთადერთი, რაც მაინტერესებს, იმას უშუალოდ ვიგებ. ესაა რას ფიქრობენ ჩემზე კოლეგები და რას ფიქრობს მწვრთნელი, სხვა ყველაფრისგან კი თავი შორს მიჭირავს — ამბობს კლარენს ზეედორფი და, ალბათ, ამიტომაც ბრაზდება იშვიათად.*

*კლარენს ზეედორფი „მილანის“ ნახევარმცველია. ის ცხოვრებას შეჰხარის და ყველაფრისადმი მსუბუქი დამოკიდებულება აქვს. ეს სიმსუბუქე სურინამული თვისებაა — ზეედორფი სურინამში დაიბადა და ყოველ ზაფხულს იქ ატარებს. მას უყვარს პალმის ქვეშ წამოწოლა. მეტიც, პალმის ქვეშ წამოწოლა მას ფეხბურთის თამაშზე მეტად უყვარს*

# იყავი ამაყი, არაფრის გეშინოდეს და წამოწექი პალმის ჩრდილში

*კიდევ, კლარენს ზეედორფმა კარგად არ იცის პენალტის დარტყმა. მაგალითად, 2003 წელს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში მან პენალტი ვერ გაიტანა, თუმცა გუნდმა მოიგო. მეორე მაგალითი: 2003 წელს, საკონტინენტთაშორისო თასზე მან ისევ ვერ გაიტანა პენალტი და გუნდმაც წააგო.*

*ზეედორფი კარიერაში ძალიან ბევრი დიდი წარმატებით დაიკვეხნის — იღბლიანი კაცია. ის ისტორიაში პირველი ფეხბურთელია, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასი სამ სხვადასხვა გუნდში მოიგო, თუმცა თავად ამბობს, რომ „რეალის“ შემადგენლობაში ეს ორჯერ შეძლო. თურმე 1999-2000 წლების სეზონში, „ინტერში“ გადასვლის წინ, ლიგის გათამაშებაში თეთრი მაისურით მონაწილეობა მოუსწრია.*

*კლარენს ზეედორფი დღეს 27 წლისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ წინ კიდევ ბევრი თამაში და, ალბათ, წარმატებაც ელის.*

*გთავაზობთ იტალიელი ჟურნალისტის, დომინიკ ანტონიონის საუბარს მასთან.*

**— ჩემპიონთა თასი სამი სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში მოიგეთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ ასეთ დიდ გუნდებში მოხვედრა ბედის ღიმილია?**

— ვაღიარებ, იღბლიანი ვარ, მაგრამ იღბალი წარმატების მხოლოდ ნაწილია. ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებას იღბალი კი სჭირდება, მაგრამ არის სხვა ელემენტებიც. საჭიროა მაგალითად, ტექნიკა, სწორ მომენტში სწორი გადაწყვეტილებების მიღება და რაც ყველაფერზე მთავარია, შესაფერისი მენტალიტეტი. ჩემთვის, 19 წლის ბიჭისთვის, „აიაქსიდან“ წასვლა იოლი არ იყო. ასევე არ იყო იოლი „რეალის“ დატოვება და არც „ინტერიდან“ „მილანში“ წასვლა გახლდათ ადვილი საქმე.



უიმბლდონის ჰოლანდიელი ჩემპიონი რიხარდ კრაიჩეკი და კლარენს ზეედორფი მეგობრები არიან

**— რომელი უფრო ძნელი იყო, „აიაქსიდან“ გენუის „სამპდორიაში“ გადასვლა თუ „სამპდორიიდან“ „რეალში“?**

— ორი სხვადასხვა ისტორიაა. ეს ამბები ორ სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა. საერთოდ, ნებისმიერი ტრანსფერი რთულია, მაგრამ მე ისეთი კაცი ვარ, ჯერ ერთი, დიდად არაფერს განვიცდი და შემდეგ ახალ მეგობრებს ყველგან ძალიან იოლად ვპოულობ. აი, მაგალითად, „ინტერში“ ნებისმიერი თანაგუნდელი ჩემთან მოდიოდა და თავის პრობლემებზე მელაპარაკებოდა. ახლა, „მილანში“ ისეთი სამეგობრო გვაქვს, რომ ყველასთან სიამოვნებით ვსაუბრობ და ყველას სიამოვნებითვე ვუსმენ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ „აიაქსის“ აღზრდილთა მთელ ევროპაში დაქსაქსვა და წარმატება სხვა მიზეზებთან ერთად ასეთი მიდგომითაც არის განპირობებული?**

— ვფიქრობ, მენტალიტეტის ამბავია, ჰოლანდიაში ასე აზროვნებენ: თუ მე, ახალგაზრდა კაცი, დიდმა კლუბმა მიყიდა და ძირითად შემადგენლობაში მათამაშებს, ესე იგი, მე ამ ყველაფრის ღირსი ვარ. აქედან გამომდინარე, უნდა იყო ამაყი და არაფრის გეშინოდეს.

**— მაშ, მენტალიტეტი?! ამბობენ, მადრიდის „რეალს“ დღეს რომ გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს, ფაბიო კაპელოს დათესილიაო.**

— კაპელოს ხელმძღვანელობით დიდებული წელიწადი გვქონდა. მწვრთნელთან ერთად „რეალში“ ხუთნი თუ ექვსნი მივედით. რობერტო კარლოსმა, პრედრაგ მიატოვიჩმა, დავორ შუკერმა, მე და სხვებმა ნამდვილად საგანგებო გარემო შევქმენით. იგრძნობოდა, რომ რაღაც დადებითი ხდებოდა. ამან მაშინ, რონალდოს „ბარსელონა“ დაგვამარცხებინა.

**— ჰო, მართლა, ნეტავ რონალდო „ინტერში“ დაბრუნდება?**

— ჩვენ ახლო მეგობრები ვართ... ისე, თუ იმის გჯერათ, რასაც გაზეთები წერენ, გამოდის, რომ რონალოს დაბრუნებაც დასაშვებად მიგაჩნიათ. ერთ დღეს შესაძლოა, მართლაც დაბრუნდეს.

**— ხშირად წამიკითხავს და მსმენია, რომ მადრიდში ყოფნისას ფერნანდო იეროსთან სულ კონფლიქტი მოგდიოდათ.**

— ყოველთვის მირჩევნია ვილაპარაკო, ვიდრე ვიჩხუბო. თუ ვჩხუბობ, ესე იგი, ვილაცამ გადააჭარბა, მაგრამ, მეორე მხრივ, იეროს დიდ პატივს ვცემ.

**— გოლები ხშირად ვერ გაგაქვთ, მაგრამ თუ გაგაქვთ, ლამაზად. მაგალითად, მადრიდულ დერბიში „ატლეტიკოს“ ლამის შუა მოედნიდან გაუტანეთ, გვახსოვს „ინტერში“ თამაშის დროს „იუვენტუსის“ კარში გატანილი ორი დიდებული გოლი და, ცხადია, გვახსოვს შარშანდელიც, „ტორინოს“ კარში შეგდებული.**

— ჩემთვის ყველა გოლი ძვირფასია და ამიტომ მათ ვერ დავახარისხებ, თუმცა „ატლეტიკოს“ კარში გატანილი საგანგებოდ დამამახსოვრდა, რადგან ჩემი გოგონა სულ ახალი დაბადებული იყო.

**— ისე, დღევანდელი ვარსკვლავებით გადავსებული „რეალის“ წევრობას თუ ისურვებდით?**

— იქიდან გამომდინარე, რომ „რეალში“ უკვე ვიყავი და წამოვედი, ხოლო დღეს ვთამაშობ გუნდში, რომელიც ჩემპიონთა თასის მფლობელია, არა უნდა გიპასუხოთ.

**— ჰოლანდიაში გითამაშიათ, ესპანეთშიც გითამაშიათ, იტალიაში თამაშობთ. არ გინდათ ინგლისში მოსინჯოთ ძალა? ვთქვათ „ჩელსიში“.**

— „ჩელსის“ პრეზიდენტს, რომან აბრამოვიჩს აკრიტიკებენ, რომ ის გუნდის შედულაბების მაგივრად ახალი და ახალი ვარსკვლავების ყიდვაზე არის გადასული, მაგრამ ნებისმიერ ქალაქს უფლება აქვს დახარჯოს იმდენი, რამდენიც დახარჯვაც სურს. რაიმეს გასაკეთებლად მენეჯმენტს ერთი გზა ხომ არ აქვს. ხოლო ჩემზე თუ ვილაპარაკებთ, არ მესმის, რატომ უნდა წავიდე „მილანიდან“. აქ ხომ სიამოვნებით ვცხოვრობ.

**— ევრო 2004-ის ჯგუფებზე რას იტყვით?**

— მგონი, ჯერ წინასწარი ვარაუდის დრო არ არის, ძალიან ადრეა. იტალიას, მე თუ მკითხავთ, არ მართებს თავის უკვე მეორე ეტაპზე წარმოდგენა. ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება. რაც შეეხება ჰოლანდიას, უკმაყოფილონი არ უნდა ვიყოთ.

**— სიყმაწვილეში კერპი გყავდათ?**

— ფრანკ რაიკარდი. ის ჩემი კერპი გახლდათ იმ სიმშვიდის გამო, რომლითაც თანაგუნდელებზე გავლენას ახდენდა. ის, რომ ერთად გვითამაშია და ჯილდოც მოგვიგია, მის კერპად აღქმაში ხელს სულაც არ მიშლიდა, პირიქით.

**— თქვენც ძალიან მშვიდი ხართ. იქნებ ეს სიმშვიდე სურინამული თვისებაა?**

— ძალიან მიყვარს სურინამში ჩასვლა, იქაურობა მართლა მამშვიდებს და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამას ზაფხულობით მხოლოდ ერთი კვირით ვახერხებ, სურინამში ძალიან ბევრი მზე და სიმწვანეა. იქ ჩემი ოჯახია. იქაა ბაბუა, რომელიც 94 წლისა მოიყარა.

**— რამდენიმე წლის წინ, თუ არ ვცდებით, თქვენ სურინამში ფეხბურთის მოედანი მოაწყვეთ. სხვა გეგმებიც გაქვთ?**

— დიახ, მინდა მალე კოლეჯი გავხსნა. მამაჩემი უკვე იქ არის და საქმესაც შეუდგა.

**— ახალგაზრდა ხართ, მაგრამ თქვენს კარიერას უკვე ძალიან წარმატებული შეიძლება ვუწოდოთ. რაღა დაგრჩათ საოცნებოდ?**

— ვოცნებობ კვლავ და კვლავ გამარჯვებაზე. ჩემს თავს ყოველ წელიწადს ვუსახავ მიზანს. მინდა ყოველ სეზონში მოვიგო რამე და თუ ბოლოს ხელცარიელი ვრჩები, მწყინს. სხვა საქმეა, რომ პროფესიულ ფეხბურთში გატარებული 12 წლის შემდეგ შემიძლია წელში გამართულმა ვთქვა, რომ დაგროვილი ტიტულებით კმაყოფილი ვარ. ბედნიერი ვარ, მრავალი სამახსოვრო ამბავი რომ გადამხდენია და მინდა ასე გაგრძელდეს.



პრედრაგ მიატოვიჩს და კლარენს ზეედორფს „რეალში“ თითქმის ყველაფერი მოუგიათ

# ასიანი ხარ, შელოტო!



ბოკა ხუნიორსი — ტალიერესი. გილერმო შელოტომ (მარცხნივ) მეასე გოლით გაიხარა

REUTERS

## არგენტინა

**კლაუსურა. VIII ტური**

ველესი — ატლეტიკო 2:0; ბანფილდი — რასინგი 3:1; კოლონი — ინდეპენდიენტე 2:0; არსენალი — კილმესი 0:0; ჩაკარიტა — ლანუსი 2:3; ხიმნასია — ესტუდიანტესი 2:2; როსარიო — ნუევა ჩიკაგო 1:1; სან ლორენსო — ოლდ ბოიზი 0:1; ბოკა ხუნიორსი — ტალიერესი 3:1; ოლიმპო — რივერ პლეიტი 1:3

კლაუსურას ლიდერმა „ტალიერესმა" მერვე ტურში პირველი მარცხი იწვნია თავის უახლოეს მდევარ „ბოკა ხუნიორსთან".

„ტალიერესი" ორი ქულით კი უსწრებს „ბოკას", ოღონდაც თამაშით მეტი აქვს. „ბოკა" მოქმედი აპერტურა-ჩემპიონი და ლიბერტადორესის თასის მფლობელია და თავისი „ბომბონიერადან" არაფერი გაატანა ლიდერს. თუმცა ალდო ოსორიომ უკვე მეოთხე წუთზე დააწინაურა „ტალიერესი". „ბოკამ" მსწრაფლ უპასუხა კარლოს ტევესის გოლით.

მასპინძლები დაწინაურდნენ გილერმო კარლოს შელოტოს პენალტით და ეს გოლი პირველ დივიზიონში მეასე გამოდგა სკელოტოსთვის, რომელსაც უმაღლეს დონეზე 339 მატჩი უთამაშია. პირველი ტაიმის დამთავრებამდე „ბოკამ" კიდევ ერთი გოლი გაიტანა — დიეგო კანიამ საჯარიმო დარტყმით განამტკიცა მარაგი.

ბუენოს აირესიდან სამხრეთით, ლა პლატაში კი იქაური მძიმე დერბი გაიმართა — „ესტუდიანტესმა" და „ხიმნასიამ" ორ-ორი გოლი გაუცვალეს ერთმანეთს. კარლო ბილარდოს „ესტუდიანტეს" მთავარმეგოლე ერნესტ ფარიასი აკლდა, თუმცა 35-ე წუთისთვის მაინც ორი ბურთით იგებდა. ბილარდო თავისი ხისტი დაცვითაა ცნობილი, მაგრამ მარსელო გუშმა და ურუგვაელმა დიეგო სკოტიმ მაინც შეძლეს ქულის გამოგლეჯა. ორივე ლაპლატური გუნდი ცხრილის მეორე ნახევარში, გვერდიგვერდაა.

„რივერ პლეიტმა" 3:1 მოუგო ცხრა კაცით მებრძოლ „ოლიმპოს", რომელსაც ორი ყვითლით ფერნანდ კლემენსი გაუძევეს, უხეშობისთვის კი ოსკარ მენა. ეს თამაში „რივერმა" ბოლო ხუთ წუთში გარდატეხა ორასიო ამელისა და ფერნანდო კავენაგის წყალობით.

„კოლონმა", [illegible] ბით [illegible] ფრანსისკო მატურანა წვრთნის, „ინდეპენდიენტეს" სძლია და მესამე ადგილზე აცოცდა. გოლები ვენესუელელმა ექტორ გონსალესმა გაიტანა, იმან, გასულ ოთხშაბათს რომ ურუგვაის ნაკრებს მოუთავა ხელი მონტევიდეოში.

**ონორიო გუსტოს დომეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტალიერესი | 8 | 6 | 1 | 1 | 17:7 | 19 |
| ბოკა ხუნიორსი | 7 | 5 | 2 | 0 | 17:7 | 17 |
| რივერ პლეიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 23:11 | 16 |
| კოლონი | 8 | 5 | 1 | 2 | 10:9 | 16 |
| ველესი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:11 | 14 |
| რასინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:14 | 13 |
| ნუევა ჩიკაგო | 8 | 2 | 5 | 1 | 12:11 | 11 |
| ბანფილდი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:9 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 8 | 3 | 2 | 3 | 10:10 | 11 |
| სან ლორენსო | 8 | 2 | 4 | 2 | 9:8 | 10 |
| კილმესი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:9 | 10 |
| ლანუსი | 8 | 3 | 1 | 4 | 12:14 | 10 |
| ხიმნასია | 8 | 2 | 3 | 3 | 13:10 | 9 |
| ესტუდიანტესი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:12 | 9 |
| ოლდ ბოიზი | 8 | 1 | 5 | 2 | 10:11 | 8 |
| ატლეტიკო | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| არსენალი | 8 | 1 | 4 | 3 | 8:14 | 7 |
| ოლიმპო | 8 | 1 | 2 | 5 | 8:17 | 5 |
| როსარიო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:16 | 5 |
| ჩაკარიტა | 7 | 0 | 3 | 4 | 7:16 | 3 |

# რატომ?!
## ლეაო უშტაბოდ დარჩა

## ბრაზილია

„სანტოსის" მწვრთნელ ემერსონ ლეაოს ძლივს გამოგლიჯეს ხელიდან თავისი ფეხბურთელები მას შემდეგ, რაც რობინიოსა და დიეგუს გუნდმა 0:4 წააგო „სან კაეტანოსთან" და სან პაულუს შტატის ჩემპიონატის ფინალში ვერ გავიდა. პირველი ნახევარფინალური მატჩი 3:3 დასრულდა, მეორე კი „სან კაეტანომ" ულაპარაკოდ მოიგო. ნახევარმცველმა მარსინიომ ორი გოლი თავად გაიტანა, ერთი ეულერს გაატანინა, სულ ბოლო კი ფაბრისიუ კარვაილომ შეაგდო.

„საშინლად ვითამაშეთ. მხოლოდ იმას ვცდილობდით, რომ ათი ბურთით არ წავგეგო! — ყვიროდა თამაშის შემდეგ ლეაო, რომელმაც დიეგუ გამოცვალა და პირით ხაზთანვე დაუწყო ჩხუბი — ჩვენი ტექნიკა გაქრა, გონება დაგვებინდა. რატომ?"



ვასკუ და გამა — ფლუმინენსე. მასპინძლებს მხეცად ცნობილმა ედმუნდომაც ვერაფერი დააკლო

სან პაულუს ფინალში გააღწია პატარა „პაულისტამ", რომელსაც პირველ მატჩში ფრე ეთამაშა „პალმეირასთან", მეორის დასრულებამდე 6 წუთით ადრე კი 3:1-საც იგებდა. მაგრამ ელსონის პენალტმა და პედრინიოს მიერ მგონი მეშვიდე წამატებულ წუთზე გატანილმა ჯარიმამ თამაში დამატებით დროში გადაიტანა. ათ-ათი ფეხბურთელით დარჩენილმა გუნდებმა პენალტებს უწიეს და აქ კი „პაულისტამ" იმარჯვა.

რიო დე ჟანეიროს კარიოკაში მეორე ეტაპის ფინალი გაიმართა, „ვასკუ და გამამ" „ფლუმინენსეს" 2:1 მოუგო და ახლა კარიოკას დიდ ფინალში პირველი ეტაპის გამარჯვებულ „ფლამენგოს" შეხვდება.

მინას ჟერაისის შტატის ნახევარფინალში კი ბრაზილიის ჩემპიონმა „კრუზეირომ" ორივე მატჩი მოუგო „ამერიკა ბელუ ორიზონტეს" და ფინალში „ატლეტიკო მინეიროს" შეხვდება, რომელმაც ასევე ორი თამაში მოუგო „კალდენსეს".

**ლუკაუ დუ მოზკაუ**

## პორტუგალია

**სუპერლიგა. XXIX ტური**

**ბრაგა 2:3 სპორტინგი**

0:1 ელპიდიუ სილვა (12), 0:2 ლიდსონი (32), 0:3 ბარბოსა (68პ), 1:3, 2:3 ე. ესტევესი (76, 86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 28 | 22 | 5 | 1 | 58:17 | 71 |
| სპორტინგი | 29 | 21 | 4 | 4 | 53:29 | 67 |
| ბენფიკა | 29 | 18 | 7 | 4 | 53:26 | 61 |
| ბრაგა | 29 | 13 | 8 | 8 | 30:31 | 47 |
| ნასიონალი | 28 | 14 | 4 | 10 | 46:30 | 46 |
| რიუ ავე | 29 | 10 | 12 | 7 | 38:26 | 42 |
| მარიტიმუ | 28 | 9 | 12 | 7 | 28:27 | 39 |
| ბოავიშტა | 29 | 9 | 11 | 9 | 26:25 | 38 |
| ბეირა მარი | 29 | 10 | 7 | 12 | 35:38 | 37 |
| მორეირენსე | 29 | 9 | 10 | 10 | 25:29 | 37 |
| ლეირია | 29 | 9 | 9 | 11 | 38:43 | 36 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 8 | 10 | 11 | 38:35 | 34 |
| აკადემიკა | 29 | 8 | 5 | 16 | 26:34 | 29 |
| ალვერკა | 29 | 8 | 5 | 16 | 29:40 | 29 |
| გიმარაეში | 29 | 6 | 10 | 13 | 27:37 | 28 |
| ბელენენსეში | 28 | 6 | 10 | 12 | 30:48 | 28 |
| ფერეირა | 29 | 7 | 3 | 19 | 21:44 | 24 |
| ამადორა | 29 | 4 | 4 | 21 | 20:62 | 16 |

## უკრაინა

**პრემიერლიგა. XIX ტური**

**ილიჩევეცი 0:1 დინამო**

0:1 საბლიჩი (89)

**კრივბასი 1:0 შახტარი**

1:0 სალახოვიჩი (76)

**არსენალი 1:1 დნიპრო**

0:1 რიკუნი (8), 1:1 ომელიანჩუკი (21)

**ჩერნომორეცი 2:1 მეტალურგი (ზ)**

0:1 დემჩენკო (79), 1:1, 2:1 ბალაბანოვი (90, 90)

**ვოლინი 1:0 ბორისფენი**

1:0 მიტიჩი (64)

**ტავრია 1:0 კარპატი**

1:0 ედმარი (87)

**ვორსკლა 1:1 ზირკა**

0:1 პოსტოლატიევი (65), 1:1 სემჩუკი (68)

**მეტალურგი (დ) 0:0 ობოლონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 19 | 14 | 4 | 1 | 40:12 | 46 |
| შახტარი | 19 | 14 | 3 | 2 | 37:12 | 45 |
| დნიპრო | 19 | 11 | 5 | 3 | 31:14 | 38 |
| ჩერნომორეცი | 19 | 7 | 10 | 2 | 24:20 | 31 |
| მეტალურგი (დ) | 19 | 8 | 6 | 5 | 31:23 | 30 |
| ობოლონი | 19 | 8 | 6 | 5 | 19:18 | 30 |
| არსენალი | 19 | 7 | 5 | 7 | 23:21 | 26 |
| ვოლინი | 19 | 6 | 3 | 10 | 16:25 | 21 |
| მეტალურგი (ზ) | 19 | 5 | 5 | 9 | 15:22 | 20 |
| კრივბასი | 19 | 5 | 5 | 9 | 14:22 | 20 |
| ბორისფენი | 19 | 5 | 4 | 10 | 11:21 | 19 |
| ილიჩევეცი | 19 | 4 | 7 | 8 | 19:30 | 19 |
| ვორსკლა | 19 | 4 | 6 | 9 | 14:27 | 18 |
| კარპატი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:23 | 17 |
| ტავრია | 19 | 3 | 8 | 8 | 10:17 | 17 |
| ზირკა | 19 | 2 | 8 | 9 | 11:24 | 14 |

## ირლანდია

**პრემიერლიგა. III ტური**

უოტერფორდი — დუბლინი 2:1; შელბურნი — დროჰედა 3:0; სენტ პატრიკსი — ბოჰემიანსი 0:2; დერი სიტი — შემროკი 1:0; ლონგფორდი — კორკ სიტი 1:1

## ხორვატია

**ნაციონალლიგა**

**პლეი ოფი. XXIII ტური**

ზადარი — ოსიეკი 0:3; ვარტეკსი — რიეკა 1:1; ჰაიდუკი — დინამო 0:0

**პლეი აუტი. XXIII ტური**

კამენი — ინტერი 1:2; მარსონია — ციბალია 3:2; ზაგრები — სლავენი 0:2

## შვედეთი

**ალსვენსკა. I ტური**

ლანდსკრონა — ჰელსინგბორგი 1:1; აიკ — სუნდსვალი 1:0; კალმარი — გიოტებორგი 0:0; ელფსბორგი — იორგრიტე 1:2; იორებრო — ჰალმსტადი 2:5; ტრელებორგი — იურგორდენი 2:2. ჰამარბი — მალმიო დღეს გაიმართება

## მექსიკა

**კლაუსურა. XIII ტური**

ტიგრესი — ტეკოსი 2:1; მორელია — ამერიკა 3:6; გვადალახარა — კრუზ ასული 4:3; ნეკაქსა — უნამი 0:1; პაჩუკა — ატლასი 1:1; ტოლუკა — ვერაკრუსი 2:3; პუებლა — ირაპუატო 6:0; ატლანტე — სანტოს ლაგუნა 2:1; კერეტანო — მონტერეი 4:4; ხაგუარესი — სან ლუისი 4:2

## ჩილე

**აპერტურა. IX ტური**

უნიონ ესპანიოლა — უონდერერსი 0:1; უაჩიპატო — უნივერსიდად დე ჩილე 2:1; კოლო კოლო — კოკიმბო 2:1; ლა სერენა — კობრესალი 4:3; პუერტო მონტი — ტემუკო 0:1; ევერტონი — კობრელოა 1:3; პალესტინო — აუდაქს იტალიანო 3:5; სან ფელიპე — უნივერსიდად დე კონსეპსიონი 1:0; რეინჯერსი — უნივერსიდად კათოლიკა 2:1

## ურუგვაი

**აპერტურა. III ტური**

დეპორტივო მალდონადო — უონდერერსი 0:1; ფენიქსი — ტაკუარემბო 1:2; დეპორტივო კოლონია — პენიაროლი 1:0; რენტისტასი — პლაზა კოლონია 2:2; ნასიონალი — სერო 1:0; მირამარი — ბელა ვისტა 4:1; სენტრალ ესპანიოლი — სერიტო 0:3; ლივერპული — როხა 2:0; დანუბიო — დეფენსორ სპორტინგი 2:0

# სპარტაკის თაფლი ნავთობია
## ლუკოილის სახალხო გარიგება

**მოსკოვის** „სპარტაკს" პრეზიდენტი ანდრეი ჩერვიჩენკო ეთხოვება. მან კლუბის აქციათა 90 პროცენტი გაყიდა. „სპარტაკის" ახალი მფლობელი ნავთობკომპანია „ლუკოილი" გახდება, რომელიც აქამდე მხოლოდ სპონსორი იყო და ყოველწლიურად „სახალხო გუნდს" 3 მილიონი დოლარით ეხმარებოდა.

„ლუკოილის" პატრონი ლეონიდ ფედუნია. იგი, როგორც ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, ჟურნალ „ფორბსის" ფურცლებზე მოხვდა. ფედუნის ქონება დაახლოებით მილიარდ 300 მილიონი დოლარს შეადგენს. „სპარტაკის" აქციათა 90 პროცენტში კი 70 მილიონი დოლარი გადაიხადა. ჩერვიჩენკოს ადგილი ვიცე-პრეზიდენტ ნიკიტა სიმონიანს შესთავაზეს, მაგრამ მან იუარა.

**ვაჟა ხუციშვილი**

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 058 | ჯილინგემი-უიგანი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 23.45 | 059 | როტერჰემი-კრისტალ პალასი | 2,3 | 3,2 | 2,5 | 1,33 | 1,19 | 1,4 |
| 23.45 | 060 | უიმბლდონი-სანდერლენდი | 6,0 | 3,6 | 1,4 | 2,25 | 1,13 | 1 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 061 | მილუოლი-კარდიფი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 090 | ჰარტლპული-ლუტონი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 23.45 | 091 | ტრანმერი-ქუინს პარკი | 2,6 | 3,2 | 2,3 | 1,43 | 1,22 | 1,33 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 120 | მენსფილდი-ოქსფორდი | 2,1 | 3,1 | 3,3 | 1,25 | 1,28 | 1,59 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 149 | ჩესტერი-ალდერშოტი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 23.45 | 150 | სკარბორო-სტივენიჯი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 23.45 | 151 | ტელფორდი-შრიუსბერი | 2,8 | 3,2 | 2,05 | 1,49 | 1,18 | 1,24 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 152 | ტელფორდი-აკრინგტონი | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 179 | ლივინგსტონი-კილმარნოკი | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| 23.45 | 180 | მაზერველი-ჰარტსი | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 191 | მორტონი-ფორფარი | 1,75 | 3,4 | 3,8 | 1,15 | 1,19 | 1,79 |
| 23.30 | 192 | სტენჰაუსმუირი-ჰამილტონი | 3,4 | 3,5 | 1,75 | 1,72 | 1,15 | 1,16 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 206 | კოტბუსი-არმინია | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 22.00 | 207 | ალემანია-უნიონი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 22.00 | 208 | ობერჰაუზენი-უნტერჰახინგი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXIV ტური** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20.00 | 217 | ჰამბურგი(მ)-ვუპერტალი | 2,9 | 3,3 | 2,15 | 1,54 | 1,23 | 1,3 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXI ტური** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 20.45 | 229 | ეშბორნი-მაინცი(მ) | 2,05 | 3,3 | 3,1 | 1,26 | 1,23 | 1,59 |
| 20.45 | 230 | ფიურტი-ჰოფენჰაიმი | 2,35 | 3,3 | 2,5 | 1,37 | 1,21 | 1,42 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 231 | აუგსბურგი-ფულენდორფი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,18 | 1,21 | 1,69 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **რეგიონალლიგა (სამხრეთი)** | | | | | | |
| | | **XXVI ტური** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 233 | ბაიერნი(მ)-ოფენბახი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.30 | 234 | ზიგენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,6 | 3,4 | 3,6 | 1,08 | 1,1 | 1,74 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იტალია. სერია B. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.30 | 244 | სალერნიტანა-პიაჩენცა | 2,7 | 2,45 | 3,0 | 1,28 | 1,42 | 1,34 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 21.90 | 397 | ადმირა-აუსტრია | 4,2 | 3,3 | 1,75 | 1,84 | 1,23 | 1,14 |
| 21.30 | 398 | ზალცბურგი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 22.30 | 399 | გრაცერი-ბრეგენცი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 22.30 | 400 | პაშინგი-შტურმი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 22.30 | 401 | რაპიდი-მატერსბურგი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 404 | აუსტრია(ლ)-ლინცერი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 22.00 | 405 | უნტერზიბენბრუნი-ლუსტენაუ | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 22.00 | 406 | ლეობენი-ვიორგლი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 22.00 | 407 | რიდი-ბლაიბურგი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 22.00 | 408 | ტიროლი-კაპფენბერგი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 413 | იანგ ბოისი-გრასჰოპერი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 414 | აარაუ-ქსამაქსი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 22.30 | 415 | ბაზელი-სერვეტი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 22.30 | 416 | ვილი-სტ.გალენი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| 22.30 | 417 | ციურიხი-თუნი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. XXV ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 420 | კონკორდია-სიონი | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 22.30 | 421 | დელემონი-კიასო | 3,5 | 3,2 | 1,9 | 1,67 | 1,23 | 1,19 |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.30 | 422 | კრინსი-ბულე | 1,45 | 3,8 | 5,6 | 1,04 | 1,15 | 2,26 |
| 22.30 | 423 | ანიო-ბადენი | 1,45 | 3,8 | 5,6 | 1,04 | 1,15 | 2,26 |
| 22.30 | 424 | მეირინი-ბელინცონა | 2,25 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,24 | 1,47 |
| 22.30 | 425 | ვინტერთური-ვადუცი | 4,0 | 3,3 | 1,75 | 1,8 | 1,21 | 1,14 |
| 22.30 | 426 | ვოლენი-ლუცერნი | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 22.30 | 427 | ივერდონი-შო დე ფონი | 1,5 | 3,6 | 4,4 | 1,05 | 1,11 | 1,98 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. I ტური** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 449 | ჰამარბი-მალმიო | 2,2 | 3,3 | 2,9 | 1,32 | 1,25 | 1,54 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. V ტური** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 16.00 | 503 | ალანია-სატურნი | 2,45 | 2,8 | 2,9 | 1,3 | 1,32 | 1,42 |
| 16.00 | 504 | დინამო-ტორპედო | 2,25 | 2,8 | 3,3 | 1,24 | 1,33 | 1,51 |
| 16.00 | 505 | კრილია-ამკარი | 1,6 | 3,3 | 5,0 | 1,07 | 1,21 | 1,98 |
| 16.00 | 506 | ყუბანი-როტორი | 1,85 | 2,9 | 4,4 | 1,12 | 1,3 | 1,74 |
| 16.00 | 507 | ლოკომოტივი-მოსკოვი | 1,5 | 3,5 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,27 |
| 16.00 | 508 | როსტოვი-ცსკა | 5,0 | 3,3 | 1,6 | 1,98 | 1,21 | 1,07 |
| 16.00 | 509 | სპარტაკი-შინიკი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 16.00 | 510 | ზენიტი-რუბინი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **I ლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.00 | 578 | ლეგია-პოლკოვიცე | 1.2 | 5.0 | 9.0 | 1 | 1.05 | 3.21 |
| | | **ავსტრია** | | | | | | |
| | | **თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **10 აპრილი** | | | | | | |
| 18.30 | 659 | კერნტენი-ზალცბურგი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18.30 | 660 | შტურმი-ბრეგენცი | 2.15 | 3.2 | 3.0 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 18.30 | 661 | მატერსბურგი-აუსტრია | 3.5 | 3.3 | 1.9 | 1.69 | 1.23 | 1.2 |
| | | **შვეიცარია. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **12 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 662 | გრასჰოპერი-ვილი | 1.75 | 3.3 | 4.2 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| | | **დანია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 663 | ოლბორგი-ვიბორგი | 1.7 | 3.4 | 4.4 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 18.00 | 664 | ჰორსენსი-ოდენსე | 4.6 | 3.5 | 1.65 | 1.98 | 1.21 | 1.12 |
| 18.00 | 665 | ნიკობინგი-ბრონდბიუ | 8.0 | 4.6 | 1.3 | 2.92 | 1.11 | 1.01 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 668 | ციბალია-ვარტეკსი | 2.3 | 3.1 | 2.7 | 1.32 | 1.24 | 1.44 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 669 | დინამო-რიეკა | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1 | 1.13 | 2.54 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | **1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 19.30 | 670 | კატოვიცე-ლეხი | 1.95 | 3.1 | 3.3 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 002 | არსენალი-ჩელსი | 1.85 | 3.1 | 4.2 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 23.45 | 003 | მონაკო-რეალი | 2.8 | 3.2 | 2.35 | 1.49 | 1.27 | 1.35 |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 004 | დეპორტივო-მილანი | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23.45 | 005 | ლიონი-პორტუ | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **1/4 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **8 აპრილი** | | | | | | |
| 22.15 | 006 | ბორდო-ვალენსია | 2.7 | 3.1 | 2.45 | 1.44 | 1.28 | 1.36 |
| 23.45 | 007 | პსვ-ნიუკასლი | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 24.00 | 008 | მარსელი-ინტერი | 2.5 | 3.0 | 2.7 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 24.00 | 009 | სელტიკი-ვილიარეალი | 1.75 | 3.2 | 4.6 | 1.13 | 1.26 | 1.88 |
| | | **შემდეგ ეტაპზე გასვლა** | | | | | | |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 7002 | არსენალი-ჩელსი | 1.28 | 2.9 | | | | |
| 23.45 | 7003 | მონაკო-რეალი | 7.5 | 1.03 | | | | |
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 23.45 | 7004 | დეპორტივო-მილანი | 10.0 | 1.01 | | | | |
| 23.45 | 7005 | ლიონი-პორტუ | 4.6 | 1.1 | | | | |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები | | | | | | |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22.15 | 7006 | ბორდო-ვალენსია | 2.8 | 1.3 | | | | |
| 23.45 | 7007 | პსვ-ნიუკასლი | 2.0 | 1.5 | | | | |
| 24.00 | 7008 | მარსელი-ინტერი | 2,3 | 1.4 | | | | |
| 24.00 | 7009 | სელტიკი-ვილიარეალი | 1.5 | 2.0 | | | | |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20.00 | 1021 | ტრენჩინი-ზვოლენი | 1,35 | 4,4 | 5,3 | 1.03 | 1,07 | 2,4 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | გერმანია | | | | | | |
| | | 8 აპრილი | | | | | | |
| 22.30 | 1031 | აისბარენი-ფრანკფურტი | 1,5 | 4,6 | 4,0 | 1,13 | 1,09 | 2,13 |
| | | ჰოკეი | | | | | | |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 6 აპრილი | | | | | | |
| 20.30 | 1061 | ტურკუ-კარპატი | 1,8 | 4,0 | 3,0 | 1,24 | 1,12 | 1,71 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5502 | არსენალი-ჩელსი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5503 | მონაკო-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5504 | დეპორტივო-მილანი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5505 | ლიონი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5506 | ბორდო-ვალენსია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5507 | პსვ-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5508 | მარსელი-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5509 | სელტიკი-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5302 | არსენალი-ჩელსი | 1.65 | 1,95 |
| 5303 | მონაკო-რეალი | 1.6 | 2,0 |
| 5304 | დეპორტივო-მილანი | 1.65 | 1,95 |
| 5305 | ლიონი-პორტუ | 1.65 | 1,95 |
| 5306 | ბორდო-ვალენსია | 1.65 | 1,95 |
| 5307 | პსვ-ნიუკასლი | 1.65 | 1,95 |
| 5308 | მარსელი-ინტერი | 1.65 | 1,95 |
| 5309 | სელტიკი-ვილიარეალი | 1.65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5202 | არსენალი-ჩელსი | 1,7 | 1,9 |
| 5203 | მონაკო-რეალი | 1,85 | 1,75 |
| 5204 | დეპორტივო-მილანი | 1,7 | 1,9 |
| 5205 | ლიონი-პორტუ | 1,6 | 2,0 |
| 5206 | ბორდო-ვალენსია | 1,55 | 2,1 |
| 5207 | პსვ-ნიუკასლი | 1,75 | 1,85 |
| 5208 | მარსელი-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 5209 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5402 | არსენალი-ჩელსი | 1,65 | 2,3 |
| 5403 | მონაკო-რეალი | 1,95 | 1,85 |
| 5404 | დეპორტივო-მილანი | 1,8 | 2,0 |
| 5405 | ლიონი-პორტუ | 1,7 | 2,2 |
| 5406 | ბორდო-ვალენსია | 1,95 | 1,85 |
| 5407 | პსვ-ნიუკასლი | 1,85 | 1,95 |
| 5408 | მარსელი-ინტერი | 1,85 | 1,95 |
| 5409 | სელტიკი-ვილიარეალი | 1,5 | 2,6 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5002 | არსენალი-ჩელსი | 2,3 | 2,05 | 4,6 | 1,08 | 1,53 | 1,41 |
| 5003 | მონაკო-რეალი | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1,56 | 1,2 |
| 5004 | დეპორტივო-მილანი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5005 | ლიონი-პორტუ | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5006 | ბორდო-ვალენსია | 3,4 | 2,05 | 2,9 | 1,27 | 1,56 | 1,2 |
| 5007 | პსვ-ნიუკასლი | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 5008 | მარსელი-ინტერი | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1,23 | 1,57 | 1,24 |
| 5009 | სელტიკი-ვილიარეალი | 2,2 | 2,1 | 5,0 | 1,07 | 1,52 | 1,47 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5102 | არსენალი-ჩელსი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5103 | მონაკო-რეალი | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5104 | დეპორტივო-მილანი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 5105 | ლიონი-პორტუ | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5106 | ბორდო-ვალენსია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5107 | პსვ-ნიუკასლი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5108 | მარსელი-ინტერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5109 | სელტიკი-ვილიარეალი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |

# ჩემპიონები და თასის აღება

**9004**

**ესპანეთი (10.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 2,5 |
| ბარსელონა | 15,0 |
| დეპორტივო | 40,0 |

**9005**

**საფრანგეთი (10.04)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,7 |
| ლიონი | 1,7 |
| პსჟ | 5,0 |

**9008**

**ავსტრია (07.04)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,3 |
| გრაცერი | 2,8 |
| რაპიდი | 20,0 |

**9009**

**დანია (11.04)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 2,3 |
| კოპენჰაგენი | 2,3 |
| ესბიერგი | 2,5 |

**9010**

**საბერძნეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,5 |
| ოლიმპიაკოსი | 1,9 |

**9011**

**უკრაინა (10.04)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,6 |
| დინამო | 1,6 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (06.04)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,15 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,7 |
| პორტუგალია | 7,0 |
| საფრანგეთი | 17,0 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (06.04)**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| რეალი | 3,0 |
| არსენალი | 3,0 |
| პორტუ | 7,0 |
| ჩელსი | 8,0 |
| ლიონი | 30,0 |
| დეპორტივო | 40,0 |
| მონაკო | 40,0 |

**9024**

**უეფას თასი (08.04)**

| | |
|---|---|
| ვალენსია | 3,3 |
| ინტერი | 4,0 |
| ნიუკასლი | 4,0 |
| სელტიკი | 5,0 |
| მარსელი | 8,0 |
| პსვ | 8,0 |
| ბორდო | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |

**9031**

**NHL (07.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3,5 |
| დეტროიტი | 4,0 |
| ფილადელფია | 5,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 7,0 |
| ოტავა | 7,0 |
| ტამპა ბეი | 6,0 |
| ვანკუვერი | 10,0 |
| დალასი | 10,0 |
| სან ხოსე | 8,0 |
| ბოსტონი | 9,0 |
| კალგარი | 30,0 |
| მონრეალი | 25,0 |
| სტ.ლუისი | 30,0 |
| აილენდერსი | 50,0 |
| ნეშვილი | 50,0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3,2 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 6,0 |
| ინდიანა | 7,0 |
| დეტროიტი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 12,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| მემფისი | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 75,0 |
| დენვერი | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| ფილადელფია | 100,0 |
| ბოსტონი | 100,0 |
| ტორონტო | 100,0 |
| პორტლენდი | 100,0 |
| მაიამი | 100,0 |
| კლივლენდი | 100,0 |
| იუტა | 100,0 |

**9004**

**ესპანეთი (10.04)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1,35 |
| ვალენსია | 2,5 |
| ბარსელონა | 15,0 |
| დეპორტივო | 40,0 |

**9005**

**საფრანგეთი (10.04)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,7 |
| ლიონი | 1,7 |
| პსჟ | 5,0 |

**9008**

**ავსტრია (07.04)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,3 |
| გრაცერი | 2,8 |
| რაპიდი | 20,0 |

**9009**

**დანია (11.04)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 2,3 |
| კოპენჰაგენი | 2,3 |
| ესბიერგი | 2,5 |

**9010**

**საბერძნეთი (17.04)**

| | |
|---|---|
| პანათინაიკოსი | 1,5 |
| ოლიმპიაკოსი | 1,9 |

**9011**

**უკრაინა (10.04)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,6 |
| დინამო | 1,6 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (06.04)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,15 |
| იტალია | 2,5 |
| ესპანეთი | 2,7 |
| პორტუგალია | 7,0 |
| საფრანგეთი | 17,0 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (06.04)**

| | |
|---|---|
| მილანი | 2,5 |
| რეალი | 3,0 |
| არსენალი | 3,0 |
| პორტუ | 7,0 |
| ჩელსი | 8,0 |
| ლიონი | 30,0 |
| დეპორტივო | 40,0 |
| მონაკო | 40,0 |

**9024**

**უეფას თასი (08.04)**

| | |
|---|---|
| ვალენსია | 3,3 |
| ინტერი | 4,0 |
| ნიუკასლი | 4,0 |
| სელტიკი | 5,0 |
| მარსელი | 8,0 |
| პსვ | 8,0 |
| ბორდო | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |

**9031**

**NHL (07.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3,5 |
| დეტროიტი | 4,0 |
| ფილადელფია | 5,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 7,0 |
| ოტავა | 7,0 |
| ტამპა ბეი | 6,0 |
| ვანკუვერი | 10,0 |
| დალასი | 10,0 |
| სან ხოსე | 8,0 |
| ბოსტონი | 9,0 |
| კალგარი | 30,0 |
| მონრეალი | 25,0 |
| სტ.ლუისი | 30,0 |
| აილენდერსი | 50,0 |
| ნეშვილი | 50,0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3,2 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 6,0 |
| ინდიანა | 7,0 |
| დეტროიტი | 10,0 |
| დალასი | 12,0 |
| ნიუ ჯერსი | 12,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| მემფისი | 40,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 75,0 |
| დენვერი | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| ფილადელფია | 100,0 |
| ბოსტონი | 100,0 |
| ტორონტო | 100,0 |
| პორტლენდი | 100,0 |
| მაიამი | 100,0 |
| კლივლენდი | 100,0 |
| იუტა | 100,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა





შოთა ხაბარელს უკმაყოფილების საბაბი არ აქვს



გრიგოლ მამრიკაშვილმა (მუქ კიმონოში) ჯერ სეხნია შინჯიკაშვილს სძლია...



...ფინალში კი რომან გონტიუკი დასცა

# მოულოდნელი ბოლო
## ხაბარელი და ორი გრიგოლი

*თბილისის 31-ე საერთაშორისო ტურნირმა ძიუდოში საქართველოს ნაკრებს ოცნება აუხდინა. საოლიმპიადოდ შოთა ხაბარელის გუნდი სრულად დაკომპლექტდა. 81 კილოგრამში სალიცენზიო ნორმატივთან ყველაზე ახლოს გრიგოლ შინჯიკაშვილი იდგა. ნახევარფინალში გასვლით სანადელსაც მიაღწია, მაგრამ იქ მომავალ ჩემპიონთან, გრიგოლ მამრიკიშვილთან დამარცხდა და შიდა კონკურენციაც კიდევ უფრო დაიძაბა. ამჟამად რეიტინგში წინ მამრიკიშვილია, თუმც რომელი ნავა ათენში, მწვრთნელის გადასაწყვეტია. ხაბარელი ბოლო სიტყვას თვის ბოლოს იტყვის. მანამდე კი კანდიდატებს ბორჯომულ შეკრებაზე ერთხელაც დააკვირდება*

— კმაყოფილი დარჩით შეგირდების ჭიდაობით?

— რა თქმა უნდა. ამდენი ქვეყნის ამდენი ძლიერი ძიუდოისტის შეჯიბრში 7 მედალი საკმაოდ კარგი შედეგია. მით უმეტეს, პირველ ნომრებს დასვენების საშუალება მივეცი.

— გრიგოლ მამრიკიშვილის ჩემპიონობა თქვენთვისაც სიურპრიზი ხომ არ იყო?

— მისი შესაძლებლობები, ცხადია, ვიცოდი, მაგრამ ასეთ შედეგს მაინც არ ველოდი. კარგია, რომ ტრავმიანობის შემდეგ ჩვეულ ფორმას იბრუნებს.

— არადა, ბევრს ეგონა, ფინალის საგზურს ლიცენზიასთან ახლოს მყოფ შინჯიკაშვილს დაუთმობდა.

— რატომ უნდა დაეთმო!? ლიცენზიის შანსი თავადაც ჰქონდა, მშვენივრადაც გამოიყენა და სალიცენზიო სიაში სასურველი ადგილი დაიკავა. ათენში რომ სრული შემადგენლობით მივდივართ, გადაწყვეტილი ამბავია, თუმც საბოლოო შემადგენლობას ჯერ ვერ გეტყვით.

— გუნდში ცვლილებებს ველოდოთ?

— ევროპის ჩემპიონატამდე ერთ თვეზე მეტია. ამ დროში კიდევ დავაკვირდები ბიჭებს, განსაკუთრებით 81 კილოგრამსა და მძიმე წონაში. ოლიმპიადაზე ღირსეულები მოხვდებიან.

— დაახლოებით როდის გაამხელთ საბოლოო შემადგენლობას?

— ხვალიდან ბორჯომში ვიკრიბებით. გაფართოებული შემადგენლობით მოვემზადებით, ყველა წონაში კონკურენცია რომ იყოს. შეკრება თვრამეტ დღეს გასტანს და მისი დასრულების შემდეგ ევროპის ჩემპიონატზე წამსვლელთა სიას შევადგენთ. ბუქარესტში კი უძლიერესი შემადგენლობით წავალთ.

— იყო აზრი, თითქოს ევროპისთვის ძირითადი ბირთვის დასვენება სჯობდა...

— შეიძლება, მხოლოდ ზვიადაური არ ვაჭიდაო, თუმც ჯერ ესეც არაა გადაწყვეტილი. სხვა ლიცენზიანტებს კი აუცილებლად დავაყენებ.

— თბილისურ ტურნირს მივუბრუნდეთ. ძიუდოს ევროპის კავშირის შეფებმა იგი ცოცხლად ნახეს. შეაფასებდნენ კიდეც...

— ორგანიზაციული საკითხებითაც და ხარისხითაც ყველა სტუმარი კმაყოფილი დარჩა. ეს ხმამაღლაც განაცხადეს და მადლობაც გადაგვიხადეს.

— ტრადიციულად, თბილისის ტურნირი ზამთარში იმართებოდა. მისი აპრილში გადმოტანაზე ხომ არ ყოფილა მსჯელობა?

— არაა გამორიცხული, ასეც მოხდეს. ეს პრობლემებს შეამცირებს, მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით მაინც თებერვალი სჯობს. თუ სპორტის სასახლის კეთილმოწყობისა და დარბაზის გათბობის პრობლემა მოიხსნა, თარიღის შეცვლას აღარც მოვითხოვთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





კონსტანტინე კუპატაძე და ნიკა იზორია

# საკრივო ბაზარზე ლიცენზია გაძვირდა

**ვარშავასა** და პლოვდივში გუშინწინ დასრულებული მოკრივეთა საერთაშორისო სალიცენზიო ტურნირები ქართველთათვის უიღბლო გამოდგა. თენგიზ მესხაძის შეგირდები ამაოდ ეცადნენ, ნიკოლოზ იზორიასა და კონსტანტინე კუპატაძის გზას შესდგომოდნენ. ზოგს ოსტატობა არ ეყო, ზოგიც ტენდენციურ მსაჯებს ემსხვერპლა.

მართალია, არც პოლონური და არც ბულგარული დელეგაცია თბილისში ჯერ არ დაბრუნებულა, მაგრამ როგორც საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურ მდივან ზურაბ კიკნაველიძისგან შევიტყვეთ, ქართველებისთვის ხელის გაქნევის შანსიც კი არ მიუციათ:

„ევროპის ჩემპიონატი სერიოზული ტურნირი იყო. ტელერეპორტაჟები გადაიცემოდა და ინტერნეტში შუქდებოდა. ამიტომ მოკრივეთა დაჩაგვრას ყველა ერიდებოდა. პრესტიჟულობა არც მეორე ტურნირს აკლდა, მაგრამ სასურველი სპორტსმენებისთვის ხელის შეშველება მაინც ადვილად შეეძლოთ. ათენამდე ორიოდ ტურნირი დარჩა და ლიცენზიებზე ნამდვილი ვაჭრობა მიდის. ჩვენ კი სავაჭრო კი არა, ბიჭების გასაშვები ფული ძლივს ვიშოვეთ. რომ არა ტენდენციური მსაჯობა, ლიცენზიისთვის ბრძოლა კახაბერ ჟვანიას (64კგ), ანატოლი ქავთარაძეს (75კგ) და ავთანდილ კაშიას (60კგ) შეეძლოთ. დარწმუნებული ვარ, მიზანს რომელიმე მაინც მიაღწევდა.“

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ულიცენზიო მოკრივეებს ერთადერთ შანსად აპრილის ბოლოს გასამართი გიოტებორგისა და ბაქოს ტურნირებიღა რჩებათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ტორპს ტორპი აჩუქეს

**ავსტრალიის** მოცურავეთა ჩემპიონატში, რომელიც ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის შესარჩევი შეჯიბრებაც გახლდათ, როგორც ვიუწყებოდით, სახელგანთქმულ იან ტორპს 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ცრუ სტარტის გამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ბუნებრივია, ამის მერე იან ტორპმა ათენში პროგრამის ამ სახეობაში გამოსვლის უფლება დაკარგა. მაგრამ მოულოდნელად მას გაუჩნდა შანსი ამ დისტანციაზე კვლავ მოიპოვოს ოლიმპიური ოქროს მედალი.

საქმე ისაა, რომ 23 წლის კრეიგ სტივენი, რომელმაც ტორპის დისკვალიფიკაციის გამო პროგრამის ამ სახეობაში ათენში ასპარეზობის უფლება მოიპოვა, ტორპის სასარგებლოდ უარს ამბობს თავის უფლებაზე, რათა ათენში 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ოქროსთვის იბრძოლოს. სტივენს გადაუწყვეტია ათენში მთელი ძალა შეალიოს 1500 მეტრზე ამავე სტილით ცურვას, სადაც იგი თანაგუნდელ გრანტ ჰაკეტის ნაცვლად გამოვა.

ავსტრალიის ჩემპიონატში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მაიკლ კლიმმაც, რომელიც 1998 წლის გმირი იყო, რადგან მაშინ მან მსოფლიოს ჩემპიონატის 4 ოქროს მედალი მოიპოვა და იმ სეზონში მსოფლიოს რეკორდებიც დაამყარა. მაგრამ მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ამ ავსტრალიელის მიღწევებიც, ცოტა არ იყოს, გაუფერულდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა თავის ქვეყნის ამ ჩემპიონატში 100 მეტრზე ბატერფლეით ცურვაში ძალა არ გაეფლანგა და მთელი ყურადღება 50 მ-ზე თავისუფალი სტილით ცურვაზე გადაიტანა. მისდა სამწუხაროდ, მაიკლ კლიმს ამან ვერ უშველა და ფინიშთან მხოლოდ მეშვიდე იყო.

თუმცა, მაიკლ კლიმი ათენში მაინც იასპარეზებს, სადაც იგი ავსტრალიელთათვის ესტაფეტაში დიდი ძალა იქნება.

**ავთანდილ ჩყვიშელი**





კრეიგ სტივენი მზადაა, იან ტორპს ათენში 400 მეტრზე ცურვის უფლება დაუთმოს



# დაფის იქიდან ქალი გვიმზერს

## ალექსანდრა კოსტენიუკი: სილამაზე ჭადრაკში



დაივიწყეთ ეს ფრაზა – „ერიდეთ ქალს და მით უფრო ლამაზ ქალს". ამ ქალს არ ერიდოთ!

**„ჭადრაკი** ინტელექტუალური სპორტია და კუბოკრული დაფის წინ ლამაზმანებს არაფერი ესაქმებათ" — ოდესღაც ამ გაუსაჩივრებელ აქსიომას თანამედროვე შილიფ გარემოში სტერეოტიპად აღიქვამენ და მის დამსხვრევასაც არაერთი სიმპათიური გოგონა ცდილობს. ზოგი ახერხებს, რომ შეამჩნიონ, ბევრი ვერა. ყველა წინამორბედზე მეტად კი გონებასთან ერთად თვალს ეშხიანი რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი იტაცებს.

„შემოიხედეთ საჭადრაკო დარბაზებში, თქვენ აქ მხოლოდ სათვალიანი და კომბინაციების თვლისგან გათანგული სახეები არ დაგხვდებიან" — უთქმელად გვანიშნებს ამას მშვენიერი ალექსანდრა. თავადაც ხშირად გამოდის დარბაზებიდან და კამერის ობიექტივებშიც სიამოვნებით იჭყიტება. ფილმშიც არა იმდენად ინტელექტის გამოსაფრქვევად გადაიღეს, რამდენადაც ეშხიანი გარეგნობის გამო და კლიპებშიც თუ ხელში ლაზიერი ან მხედარი არ უკავია, მასში ძნელად ამოიცნობთ ჭადრაკის დიდოსტატს. ალექსანდრა კოსტენიუკი ამტკიცებს, ჭადრაკს შეიძლება ჰყავდეს ლამაზი დედოფალიო და ეს 19 წლისამ მოახერხა, რამდენიმე დღის წინ ქალთა ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

წარმატებული მოდელი, მსახიობი, მწერალი და კიდევ ბევრ სფეროში თავგამოჩენილი ევროპის ახალი ჩემპიონი ალბათ მხოლოდ კომსომოლელი არაა, თუმცა იმხელა პიროვნული მზადყოფნა აქვს, იქნებ რამდენიმე წელიწადში პოლიტიკაშიც სცადოს ბედი.

ეს საოცარი გოგონა 1984 წლის 23 აპრილს პერმში დაიბადა. ერთ წელიწადში მისი ოჯახი მოსკოვში გადაბარგდა. ჭადრაკის თამაში ხუთი წლისამ დაიწყო და როგორც ხშირად ხდება, ამაში დიდი დამსახურება მონდომებულ მშობელს მიუძღვის. მამამისი კონსტანტინ კოსტენიუკი იმ იშვიათთაგანი გამოდგა, ვინც იციან, როგორ უნდა აღზარდონ შვილი და დაბადებისთანავე უმზადებენ მას მომავალს.

„მამაჩემმა ცხოვრებაში ჩემს გამო ბევრ რამეზე თქვა უარი — იხსენებს ალექსანდრა — იგი სამხედრო ოფიცერი იყო და შვილისთვის მეტი დრო რომ დაეთმო, ამის გამო სამსახურიდან წამოვიდა."

შვილიც ასეთი უნდა. მამა გენიოს ქალიშვილთან დღეში რამდენიმე საათს მუშაობდა და ტურნირებზეც თან დაჰყვებოდა. ალექსანდრა მამის გაკვეთილებს ჩინებულად ითვისებდა და შრომის ფასიც მალე გამოჩნდა, ტიტულებმა არ დააგვიანეს: 10 წლისა თავის ასაკში ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს თანაჩემპიონი გახდა. სულ მალე ის 12-წლიანებში ხდება მსოფლიოში საუკეთესო და 13 წლისა მანდილოსნებში საერთაშორისო ოსტატის წოდებასაც ანიჭებენ, რითაც ჩვენებურ მაია ჩიბურდანიძის მიღწევას აუმჯობესებს.

დაქალიშვილებული კოსტენიუკი ერთ წელიწადში გადიდოსტატდა, ხოლო 2001 წელს თანამემამულე ალისა გალიამოვასთან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. 0:2 კი წააგო თუმც, როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ალექსანდრა ჩემპიონატზე საუკეთესო იყო და კონკურენტებზე ისე გაიარა, როგორც დანამ კარაქზე.

ცოცხალი გოგონა მხოლოდ ჭადრაკში არ ხარჯავდა ულევ ენერგიას. რა საერთო აქვთ ჭადრაკსა და ექსტრემალურ თამაშებს? ერთი შეხედვით არავითარი, თუ არ ჩავთვლით სპორტულ აზარტს. კოსტეკიუკი კი ორივეგან შინაურია, ორი წლის წინ იგი კურორტ ბალიში იმყოფებოდა და ფეხზე მიბმული თოკით 150-მეტრიანი კოშკიდან თავით გადაეშვა. „ეს ცხოვრებაში ერთხელ მაინც უნდა გამოსცადო. ამ ნახტომმა აღმაფრთოვანა და გამამხნევა" — ამბობს საშა.

ალექსანდრას წიგნი „როგორ გავხდი 14 წლისა დიდოსტატი" უკვე სამ ენაზეა გამოცემული — რუსულად, ინგლისურად და ესპანურად. წიგნში აღწერილია მისი თავდაუზოგავი შრომისა და წარმატების ისტორია 5 წლის ასაკიდან. „მე და მამაჩემი ამ წიგნის დასაწერად ორი წელი ვშრომობდით და მგონი, კარგიც გამოგვივიდა. გარდა ჩემი ისტორიისა, აქ ზოგიერთი პარტიაც მაქვს განხილული და თუ ბავშვი ადრეული ასაკიდან წაიკითხავს, კარგი სტიმულიც მიეცემა" — განაცხადა ავტორმა.

ორი წლის წინ კოსტენიუკი ცნობილმა რეჟისორმა სტანისლავ გოვორუხინმა გადაიღო ფილმში „დალოცე ქალი". მოქმედება ძირითადად მეორე მსოფლიო ომის დროს ხდება და მასში რუსი ქალის რომანტიკული სასიყვარულო ისტორიაა აღწერილი. ალექსანდრა ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ და, სიცოცხლე ჩქეფს [illegible]კონასთვის. თავისთავად პარალელური ცხოვრების მიუხედავად ჭადრაკი ნამდვილად არ ზარალდება. კოსტენიუკი ევროპის ჩემპიონობამდე ფიდეს ქალთა რეიტინგში 2469 ქულით მე-15 ადგილზე იყო, ახალგაზრდა გოგონებში კი მეოთხე. კონტინენტის ჩემპიონობის შემდეგ მას საკმაოდ აეწევა რეიტინგი.

ქალთა ჭადრაკში ნამდვილი დედოფალი მოდის.

**ლაშა გეგეჭკორი**



# როდიკმა [illegible] ჩაიბარა

**NASDAQ-100 OPEN**

მაიამი. მაგარსაფარი. კაცები

საპრიზო 3,45 მილიონი $

**ფინალი**

**ენდი როდიკი (2, აშშ) — გილერმო კორია (3, არგენტინა) 6:7 (2:7), 6:3, 6:1 კორიამ შეწყვიტა**

ეს ენდი როდიკის მე-200 საკარიერო გამარჯვება იყო და ამ გამარჯვებამ მას წლის მეორე და კარიერის მეცამეტე ტიტულთან ერთად 533 350 დოლარიც არგუნა. ახლა როდიკი ხუთი საამსეზონო მარცხის წილ უკვე 26 მოგებას მოიძევს და ამ მაჩვენებლით ამქარში ბადალი არ ჰყავს. რეიტინგსიებში კი ის ორივეგან მეორეა და ზეგარდმო პირველოსან ფედერერს ჯერაც კაცურად ჩამორჩება — რბოლაში 137, ხოლო განთესვისაში 745 ქულით.

როდიკის მაიამურ წარმატებას ეგებ სიმბოლური სარჩულიც დაედოს. რაკილა ის სამპრასიან-აგასიანთა დიადი თაობის უცილობელ მემკვიდრედ ითვლება, ვის, თუ არა მას უნდა გადაებარებინა აგასის მიერ იქ ექვსგზის მონაგრული ბროლის თასი.

კიბისკეინური მაგარსაფარი დიადი არმენოამერიკელის უკანასკნელი გოდოლთაგანი იყო. წლეულს ის 34 წლის ხდება და ალბათ უკვე დროა, ციხეთა გასაღებები თავის მემკვიდრეს საბოლოოდ გადაულოცოს...

საკუთრივ ფინალს რაც შეეხება, ის სამი სეტის მოგებამდე უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ პირველ სეტში ზურგნატკენმა კორიამ ჩოგნის ბოლომდე ქნევა ველარ შეძლო და კორტზე პირსახოცის გადაგდება არჩია. აღარ მინდოდა, მაყურებლისთვის ჩემი ვაინაჩრობით თავი მომებეზრებინაო, ამბობდა ის ნამატჩევს.

ამ პარასკევ-უქმეებზე არგენტინელები სადევისმეოთხედფინალოდ ბელარუსებს მასპინძლობენ და კორიას სხვა გზა არა აქვს, ზურგი პარასკევამდე აუცილებლად უნდა მოირჩინოს. ეს მით უფრო იმიტომაც, რომ გაუჩოთა მეორე ყოჩი დავიდ ნალბანდიანი უკვე დიდი ხანია კოჭის ტრავმის გამო ამ შეხლას გამოეთიშა.

**ლევან ძელაურაძე**



ენდი როდიკი

REUTERS მაიამიდან



# მიხაელმა 04 04 04-ზეც გაიმარჯვა

## რალფს ყვითელი ამოუღეს



ჯენსონ ბატონს დაპირებული ულვაშისა არაფერი ეტყობა

**სეზონი** ასე გრანდიოზულად მიხაელ შუმახერს არასდროს დაუწყია — სამივე რბოლის მოგება, სამი პოული და ორი უსწრაფესი წრე ლამის აბსოლუტური მიღწევაა.

მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა გუშინწინ ბაჰრეინის 04.04.04 ეტაპზე (ეს ჯუჯა სასულთანოს პირველი დიდი პრიზის თარიღის აბრევიატურაა) იმხელა უპირატესობით გაიმარჯვა, რომ ბევრისთვის წლევანდელი ტრიუმფატორის ვინაობა ლამის ცნობილია.

ამ კუნძულოვანი ქვეყნის დედაქალაქ მანამაში „საჰირის" ავტოდრომზე რბოლისას აღსანიშნავი სხვაც არაერთი მოხდა. მეექვსე წრეზე ტაკუმა სატოს მანქანასთან შეჯახებაში მსაჯებმა რალფ შუმახერი დაადანაშაულეს და საფორმულო ყვითელი ბარათიც აუფრიალეს. ეს ახალი წესებით პირველი სასჯელია, უწინდელი პიტლაინზე ნელა ჩავლის სანაცვლოდ და კიდევ ორი ამგვარი ჯარიმის შემდეგ პატარა შუმის ერთი რბოლის გამოტოვება მოუწევს. ჩვენი აზრით, ეს მთლად ლოგიკურ-ობიექტური ვერდიქტი ვერაა და იქნებ, წლეულსვე გაუქმდეს.

ბაჰრეინში მშვენივრად იჯირითა ბარ-ელმა" ჯენსონ ბატონმა. 24 წლის ინგლისელი პილოტი ზედიზედ მეორედ შედგა პოდიუმის მესამე საფეხურზე და ისე მოვიდა მადაზე, უახლოეს მომავალში მეტოქეებს რბოლის მოგებითაც დაემუქრა. ისიც სათქმელია, რომ წლევანდელი ჩემპიონატის წინ მან საქვეყნოდ განაცხადა, როგორც კი პოდიუმზე პირველად შევდგები, ულვაშს მოვუშვებო. მალაიზიაში წარმატების შემდეგ ნახევარი თვე გავიდა, ბატონი კი, როგორც ფოტოდანაც ჩანს, სიტყვას არ ასრულებს.



რალფ შუმახერმა (მარცხნივ) ამ ავარიისთვის გაფრთხილება მიიღო

## ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

ხორვატია. სისაკი. 1-5 აპრილი

— 4 აპრილი —

**საქართველო 67:65 ლატვია**

**8:17, 19:17, 22:17, 18:14**

**საქართველო:** ცინცაძე (17 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება), გამყრელიძე (4 ქულა, 5 მოხსნა, 2 პასი, 4 ჩაჭრა, 1 დაფარება), მარკოიშვილი (20 ქულა, 4 მოხსნა, 2 პასი, 6 ჩაჭრა, 2 დაფარება), სანიკიძე (19 ქულა, 13 მოხსნა, 5 ჩაჭრა, 2 დაფარება), გვიმრაძე (2); საყვარელიძე (4 ქულა, 3 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 2 პასი, 1 დაფარება), ათანელიშვილი (1 ქულა, 3 მოხსნა, 3 ჩაჭრა)

# ოპერაცია ბიედრინსი

## გოლიათი ბავშვებშიც მარტოკაცია

*მთლად ფინეთის ომის დარი არა, მაგრამ ქართველ ჭაბუკებს ლატვიელებთანაც კარგა გვარიანი ჯახის გადატანა მოუხდათ. თამაზ ოქრუაშვილის სამწყსოს მთავარ მიზნად დაესახა ლატვიელთა ნბა-სთვის გამზადებული ახმახის ანდრის ბიედრინსის შეჩერება, რასაც ჭაბუკებმა ნაწილობრივ გაართვეს თავი. ასე თუ ისე, გამარჯვება მაინც ჩვენებს დარჩათ.*

*„ოპერაცია ბიედრინსზე" და მატჩის სხვა პერიპეტიებზე ქართველთა ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ სანიკიძე გვესაუბრება...*



ვიქტორ სანიკიძე და მისიანები საფრანგეთთან მარცხის მიუხედავად ევროპის ჩემპიონატზე გავიდნენ

— დაძაბული და საინტერესო თამაში იყო, ბოლო მეოთხედამდე თანაბრად მივდიოდით, მერე კი ჩვენი უპირატესობაც გამოიკვეთა.

— კონკრეტულად რაში აჯობეთ ლატვიელებს?

— მწვრთნელის უპირველესი დავალება ლატვიელთა 213-სანტიმეტრიანი ცენტრის ანდრის ბიედრინსის გაჩერება იყო. ის ძალიან ძლიერი და პერსპექტიული კალათბურთელთა, ნბა-ს წლევანდელ დრაფტზე დადგება და მეოთხე არჩევნის მფლობელი გუნდი უკვე თანახმაა მის აყვანაზე, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ აირჩიეს. ბიედრინსი ლატვიელთა ლიდერია, ის მოათრევდა აქამდე გუნდს.

— ჰოდა, სწორედ მაგან ჩაგიგდოთ 28 ქულა, რასაც 11 მოხსნა, 8 დაფარება და 5 პასიც მოაყოლა. გამოდის, რომ ვერ გააჩერეთ...

— რაც გამარჯვებას ეყო, ის გავაკეთეთ. აბა, მასაც რომ არ ჩაეგდო, ლატვიელები 30 ქულასაც ვერ ასცდებოდნენ, ბიდრინსის გარდა ბალტიელებთან 10-ქულიანი ზღვარიც კი ვერავინ დაძლია. მეორე მეოთხედის ბოლოს ბიედრინსს უკვე მესამე ჯარიმა ავკიდეთ და როცა ის მოედნიდან გაიყვანეს, უფრო თავისუფლად ავთამაშდით. მწვრთნელის დავალებას კარგად ვასრულებდით და საბოლოოდ ამიტომაც გავიმარჯვეთ.

— ლატვია საკმაოდ ძლიერია ფინეთზე, თუმც ბალტიისპირელებს უფრო იოლად მოუგეთ...

— ალბათ იმიტომ, რომ ლატვისთან ფსიქოლოგიური ზეწოლის გარეშე გავედით სათამაშოდ. ფინელების სასწაულ მატჩში დამარცხების შემდეგ თვითრწმენა გაგვიორმაგდა, შევთამაშდით კიდეც და ლატვიელებთან მხოლოდ მოსაგებად გავედით მოედანზე.

— ამ გამარჯვებით ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეთ, ფრანგებთან დღევანდელ მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარა აქვს...

— ევროპის ჩემპიონატზე თამაში კი გავინაღდეთ, მაგრამ ფრანგებთან მატჩს განსაკუთრებული მონდომებით ვხვდებით. სხვა თუ არაფერი, გამარჯვება ჯგუფში პირველ ადგილს გვინაღდებს. თან ფრანგებთან ანგარიშები გვაქვს, საკვალიფიკაციო ეტაპზე მსაჯების დახმარებით მოგვიგეს.

**ირაკლი პერტაია**

— 5 აპრილი —

**საქართველო 55:72 საფრანგეთი**

**9:10 20:27 12:17 14:18**

**საქართველო:** ცინცაძე (9 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი, 4 ჩაჭრა), გამყრელიძე (0 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 პასი), საყვარელიძე (13 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი), მარკოიშვილი (12 ქულა, 4 მოხსნა, 4 პასი, 2 ჩაჭრა), სანიკიძე (19 ქულა, 6 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 2 პასი), ჯანეზაშვილი (2), ლეჟავა, გვიმრაძე, ბექაური

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 5 | 4 | 1 | +80 | 9 |
| იტალია | 5 | 3 | 2 | +39 | 8 |
| საქართველო | 5 | 3 | 2 | -22 | 8 |
| ლატვია | 5 | 3 | 2 | +10 | 8 |
| ხორვატია | 5 | 2 | 3 | -3 | 7 |
| ფინეთი | 5 | 0 | 5 | -104 | 5 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 4 აპრილი —

**დეტროიტი 79:61 ინდიანა**
დეტროიტი: ჰამილტონი (24)
ინდიანა: არტესტი (16)

**ლეიკერსი 89:95 სან ანტონიო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (28), პეიტონი (21)
სან ანტონიო: პარკერი (29)

**ტორონტო 83:90 მილუოკი**
ტორონტო: როუზი (21)
მილუოკი: სკინერი (19)

**ჰიუსტონი 94:99 საკრამენტო**
ჰიუსტონი: მინგი (21 ქულა, 10 მოხსნა)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (28)

**ვაშინგტონი 112:102 ბოსტონი**
ვაშინგტონი: არენასი (32)
ბოსტონი: ბანკსი (24)

**მინესოტა 90:82 მემფისი**
მინესოტა: კასელი (36)
მემფისი: პოუზი (19)

**ნიუ ჯერსი 106:89 ატლანტა**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (20)
ატლანტა: ჯექსონი (31)

**სიეტლი 96:88 ნიუ ორლეანი**
სიეტლი: ალენი (25)
ნიუ ორლეანი: მალუა (17)

**კლიპერსი 92:97 იუტა**
კლიპერსი: მეჯიტი (26)
იუტა: კირილენკო (18)



## რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანაჰაიმელი რუსლან სალეი და კალგარელი ჯერომ იგინლა ჭიკაობენ

# მორის რიშარი სამად გახლიჩეს

— 4 აპრილი —

**კოლორადო 1:2 ნეშვილი**
*1:0 0:0 0:1 0:1*
1:0 ლაილსი (2), 1:1 ჰარტნელი (50), 1:2 ლეგვანდი (61)

**ნიუ ჯერსი 1:3 ბოსტონი**
*0:3 0:0 1:0*
0:1 გრინი (1), 0:2 მიურეი (3), 0:3 სამსონოვი (16), 1:3 ლანგენბრუნერი (52)

აღმოსავლეთის საპლეიოფო ოქტეტში ერთობ ჩაიხლართა სიტუაცია და მხოლოდ ჩემპიონატის ბოლო დღემ მოჰფინა ნათელი ყველაფერს. „ბოსტონმა" „ნიუ ჯერსის" სძლია და დივიზიონში მეორე ადგილი დაიბევა, „ეშმაკები" კი მეექვსეზე დაეშვნენ.

**სან ხოსე 4:2 ლოს ანჯელესი**
*1:2 0:0 2:2 1:0*
1:0 კოროლიუკი (6), 1:1 დემპსი (11), 1:2 მაიდრი (46), 1:3 ტრიპი (54), 2:3 სტიუარტი (60), 3:3 სტიუარტი (60), 4:3 დამფუსი (64)

მასპინძლებმა ძირითადი დროის ბოლო 20 წამში ორი გოლი გაიტანეს, ოვერტაიმში კი გამარჯვება გამოჰგლიჯეს მეტოქეს. ახლა „სან ხოსეს" 104 ქულა დაუგროვდა, რაც კლუბის რეკორდია და დასავლეთში მეორე ადგილზე გავიდა.

**დალასი 5:2 ჩიკაგო**
*2:0 2:1 1:1*
1:0 კორსონი (6), 2:0 ლეჰტინენი (20), 3:0 გერინი (27), 3:1 ვანდენბუში (34), 4:1 ბურე (40), 5:1 კორსონი (50), 5:2 ვანდერბუში (55)

**ანაჰაიმი 2:1 კალგარი**
*0:0 0:1 2:0*
0:1 იგინლა (30), 1:1 სკოულა (49), 2:1 ფიოდოროვი (50)

კალგარელმა ჯერომ იგინლამ 41-ე გოლი გაიტანა და ჩემპიონატის ორ საუკეთესო მეგოლეს, კოლუმბუსელ რიკ ნეშს და ატლანტელ ილია კოვალჩუკს გაუტოლდა. ამგვარად, „მორის რიშარ ტროფს" ერთბაშად სამი ჰოკეისტი მიიღებს, რაც არნახული პრეცედენტია.

**ფლორიდა 6:6 კაროლინა**
*0:4 3:0 3:2 0:0*
0:1 ვრბატა (6), 0:2 ბულერაისი (9), 0:3 ბრინდამორი (17), 0:4 კოული (20), 1:4 სამუელსონი (22), 2:4 ბერგლუნდი (36), 3:4 ოდეტი (37), 4:4 ბერგლუნდი (42), 5:4 პიროში (45), 6:4 ოდეტი (47), 6:5 სტაალი (56), 6:6 ფესტი (58)

**პიტსბურგი 4:3 ვაშინგტონი**
*1:1 2:1 1:1*
1:0 პირიეტა (7), 1:1 პიატი (20), 2:1 პირიეტა (21), 2:2 მილერი (31), 3:2 ბრედლი (32), 3:3 უილსი (57), 4:3 კრაფტი (58)

**აილენდერსი 3:3 ფილადელფია**
*2:2 1:0 0:1 0:0*
0:1 პრიმო (8), 1:1 ჰამრლიკი (11), 2:1 ოკონი (15), 2:2 რენიკი (20), 3:2 იაშინი (33), 3:3 იუნსონი (45)

**მინესოტა 3:0 სენტ ლუისი**
*0:0 1:0 2:0*
1:0 ველიო (35), 2:0 გაბორიკი (49), 3:0 შუინარი (60)

**საბოლოო ცხრილი**

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 82 | 46 | 8 | 6 | 22 | 245:192 | 106 |
| ბოსტონი | 82 | 41 | 15 | 7 | 19 | 209:188 | 104 |
| ფილადელფია | 82 | 40 | 15 | 6 | 21 | 229:186 | 101 |
| ტორონტო | 82 | 45 | 10 | 3 | 24 | 242:204 | 103 |
| ოტავა | 82 | 43 | 10 | 6 | 23 | 262:189 | 102 |
| ნიუ ჯერსი | 82 | 43 | 12 | 2 | 25 | 213:164 | 100 |
| მონრეალი | 82 | 41 | 7 | 4 | 30 | 208:192 | 93 |
| აილენდერსი | 82 | 38 | 11 | 4 | 29 | 237:210 | 91 |
| ბუფალო | 82 | 37 | 7 | 4 | 34 | 220:221 | 85 |
| ატლანტა | 82 | 33 | 8 | 4 | 37 | 214:243 | 78 |
| კაროლინა | 82 | 28 | 14 | 6 | 34 | 172:209 | 76 |
| ფლორიდა | 82 | 28 | 15 | 4 | 35 | 188:221 | 75 |
| რეინჯერსი | 82 | 27 | 7 | 8 | 40 | 206:250 | 69 |
| ვაშინგტონი | 82 | 23 | 10 | 3 | 46 | 186:253 | 59 |
| პიტსბურგი | 82 | 23 | 8 | 4 | 47 | 190:303 | 58 |

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 82 | 48 | 11 | 2 | 21 | 255:189 | 109 |
| სან ხოსე | 82 | 43 | 12 | 6 | 21 | 219:183 | 104 |
| ვანკუვერი | 82 | 43 | 10 | 5 | 24 | 235:194 | 101 |
| კოლორადო | 82 | 40 | 13 | 7 | 22 | 236:198 | 100 |
| დალასი | 82 | 41 | 13 | 2 | 26 | 194:175 | 97 |
| კალგარი | 82 | 42 | 7 | 3 | 30 | 200:176 | 94 |
| სენტლუისი | 82 | 39 | 11 | 2 | 30 | 191:198 | 91 |
| ნეშვილი | 82 | 38 | 11 | 4 | 29 | 216:217 | 91 |
| ედმონტონი | 82 | 36 | 12 | 5 | 29 | 221:208 | 89 |
| მინესოტა | 82 | 30 | 20 | 3 | 29 | 188:183 | 83 |
| ლოს ანჯელესი | 82 | 28 | 16 | 9 | 29 | 205:217 | 81 |
| ანაჰაიმი | 82 | 29 | 10 | 8 | 35 | 184:213 | 76 |
| ფინიქსი | 82 | 22 | 18 | 6 | 36 | 188:245 | 68 |
| კოლუმბუსი | 82 | 25 | 8 | 4 | 45 | 177:238 | 62 |
| ჩიკაგო | 82 | 20 | 11 | 8 | 43 | 188:259 | 59 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*
*მთავრული შრიფტით პლეი ოფში გასული გუნდებია აღნიშნული*

**პლეი ოფის პირველი რაუნდი**

| აღმოსავლეთი | დასავლეთი |
|---|---|
| ტამპა (1) — აილენდერსი (8) | დეტროიტი (1) — ნეშვილი (8) |
| ბოსტონი (2) — მონრეალი (7) | სან ხოსე (2) — სენტ ლუისი (7) |
| ფილადელფია (3) — ნიუ ჯერსი (6) | ვანკუვერი (3) — კალგარი (6) |
| ტორონტო (4) — ოტავა (5) | კოლორადო (4) — დალასი (5) |

*თამაშები 7 აპრილს იწყება*



# ლივერპულის სტიპლ ჩეიზი

ლივერპულში ერთი ამბით ჩატარდა აინტრის დიდი ეროვნული შეჯიბრი, სახალხოდ კი ლივერპულის სტიპლ ჩეიზი, საოცარი დოღი, რომლის გამარჯვებული ცხენი „ამბერლეი ჰაუსი“ შეიქნა. ამ ცხენის გამზრდელი კი არის მხცოვანი მწვრთნელი დონალდ „ჯინჯერ“ (ეს მეტსახელი „ჟღალადაც“ შეიძლება მოვთარგმნოთ) მაკკეინი. ამ „ჯინჯერის“ ცხენებს ჯერ კიდევ 70-იან წლებში ზედიზედ სამჯერ მოუგიათ ლივერპულის სტიპლ ჩეიზი, რომელიც ყველაზე რთული დაბრკოლებებით გამოირჩევა და ყოველ დაბრკოლებას თავისი ძველი სახელი ჰქვია. სამდღიანი მოვლენის შუაში კი ასევე ტრადიციული „ლედის დღე“ იყო, რომლის დროსაც ქალთა შლაპების ნამდვილი გამოფენა ეწყობა ხოლმე. დოღის გოგოები კი, ისე, როგორც ეს კრისტი მური, თამამ რამეებსაც ირგებენ. თუმც, ამინდი ამ ჯერზე სუსხიანი და ქარნარევი იყო.





# მორიგი

ეგებ ეს მოსაწყენიც იყოს, მაგრამ „ლეიკერსის“ მორიგ თამაშზე ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერში“ მორიგი ვარსკვლავი ზის. ამჯერად ეს ბენ აფლეკია. „ლეიკერსი“ კი „ჰიუსტონს“ ამარცხებს.



## ფეხბურთი

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XXVII ტური

კოტბუსი 0:0 მაინცი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXV ტური

ვერდერი (მ) 1:1 კიოლნი (მ)

### ირლანდია

პრემიერლიგა. IV ტური

ბოჰემიანსი 1:1 შელბურნი

### იტალია

სერია B
XXXVI ტური

ატალანტა 2:0 ასკოლი

აველინო 6:0 ვერონა

სერია C1/A
XXVII ტური

რიმინი 2:1 ლუკეზე

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXIX ტური

მარიტიმუ 2:0 ბელენენსეში

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა
XXIV ტური

ბრნო 2:2 სლავია

### ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

სპარტა 1:0 სიტარდი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXI ტური

ისტრი 2:2 ნიორი

### ინგლისი

პრემიერლიგა. XXXI ტური

ლიდსი 3:2 ლესტერი




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე ველუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge